186
1971/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1971 წ.

11719

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დებულებისა და ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

77. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

78. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 680 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

79. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

80. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების დებულების დამატებათა შესახებ.

81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აპრილის № 167 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

82. რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და მუსიკალური სასწავლებლების მუშაობის დონისა და პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

83. გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გაუმჯობესების შესახებ

84. მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ

85. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნების მოწესრიგების შესახებ

86. საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის საწარმოთა მიერ ხორცის წონისა და ხ[illegible] მიხედვით პირუტყვის მიღების დროებითი წესების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76 საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დებულებისა და ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს შესახებ და დებულება ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 ივნისის № 346 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 16 სექტემბერი. № 487.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 16 სექტემბრის № 487
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას რესპუბლიკაში, მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის სახელმწიფო შესყიდვის მოწყობას, პურის სახელმწიფო რესურსების დაგროვებას, დაბინავებას, შენახვასა და ცენტრალიზებულ გამოყენებას, აგრეთვე ხელმძღვანელობს საფქვავ, ბურღულის, კომბინირებული საკვებისა და საელევატორო მრეწველობას.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს პასუხისმგებლობა აკისრია რესპუბლიკაში ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადებისათვის, პურის სახელმწიფო რესურსების დაცვა-შენახვისა და სწორად გამოყენებისათვის, საფქვავი, ბურღულის, კომბინირებული საკვებისა და საელევატორო მრეწველობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და პურეულ პროდუქტებზე და კომბინირებულ საკვებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა ყველაზე სრული დაკმაყოფილებისათვის.

2. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— გააუმჯობესოს რესპუბლიკაში ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადების ორგანიზაცია, უზრუნველყოს, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სხვა მეურნეობებმა და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა შეასრულონ სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზეგეგმითი შესყიდვის დავალებანი, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი და დამზადების პირობები;

— დროულად გამოავლინოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო რესურსები, ყოველი ღონისძიებით გააფართოოს სახელმწიფოსათვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზეგეგმითი შესყიდვა;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებისა და ნედლეულის მაღალი ხარისხი, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვის წესით ამზადებს ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაცია;

— უზრუნველყოს პურის სახელმწიფო რესურსების ცენტრალიზებული დაგროვება, რაციონალური ტერიტორიული დაბინავება, შენახვა და გამოყენება დადგენილი წესის შესაბამისად;

— ყოველი ღონისძიებით განავითაროს საფქვავი, ბურღულის, კომბინირებული საკვების და საელევატორო მრეწველობა როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილები. უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპი, რათა ყველაზე სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ამ მრეწველობის ყველა სახეობის პროდუქციაზე;

—უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვა, წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და სახელმწიფო გეგმით დაწესებული სხვა დავალებების შესრულება სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ;

— უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— დანერგოს მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება წარმოებაში, უზრუნველყოს წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

— რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის თვითღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს საწარმოო სიმძლავრენი და ძირითადი ფონდები, აგრეთვე მოკლე ვადაში აითვისოს საწარმოო სიმძლავრენი;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების ყველაზე უკეთ გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც კარგად გამოიჩენენ თავს მუშაობაში;

— გაუუმჯობესოს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, შეუქმნას მათ შრომის უსაფრთხო პირობები, დანერგოს საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ახალი საშუალებანი და ხერხები.

3. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო განაზოგადებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების საკითხებსა და თავისი საქმიანობის სხვა საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და დადგენილი წესით შეაქვს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

4. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, რომელიც წამყვანია სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების დარგში, აგრეთვე რესპუბლიკის საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში, იღებს ზომებს დამზადების დარგში ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, იწვევს დადგენილი წესით თათბირებს და მოისმენს ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე; მონაწილეობს სხვა უწყებათა საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოთა განვითარებისა და პროდუქციის გამოშვების დაგეგმვაში, იმ საკითხების შემუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან.

5. მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო:

ა) ახორციელებს შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად ღონისძიებებს ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო დამზადების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად; უწევს სახელმწიფო კონტროლს დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის დაწესებული შესყიდვის გეგმების, ზეგეგმითი შესყიდვის დავალებათა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულებას;

ბ) ორგანიზაციას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების, მათ შორის მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობის მიერ სასაქონლო პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვას დადგენილი წესით;

გ) კოორდინაციას უწევს ყველა იმ ორგანიზაციის დამამზადებელ საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვას როგორც სამრეწველო გადამუშავებისათვის, ისე მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად;

დ) მონაწილეობას იღებს მარცვლის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმებისა და ზეგეგმითი შესყიდვის დავალებათა შემუშავებაში;

ე) ახორციელებს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს, რათა საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე განავითაროს და განამტკიცოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობების პირდაპირი კავშირი სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან;

ვ) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რათა სახელმწიფო და კოოპერაციულმა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა დროულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი მათგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესასყიდად, როგორც გეგმების შესაბამისად, ისე შესყიდვის გეგმების გადამეტებით;

ზ) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმისადმი, რომ დამამზადებელმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა სწორად განსაზღვრონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი, სწორად და დროულად მოახდინონ ანგარიშსწორება მიღებული პროდუქციისათვის, გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის შესასყიდი პროდუქციის ხარისხის შეფასების გამო წამოჭრილ სადავო საკითხებს;

თ) მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების განმახორციელებელ სამინისტროთა და უწყებათა მიერ იმ საკითხთა გადაწყვეტაში, თუ ეკონომიურად რამდენად მიზანშეწონილია ბაზებისა და საწყობების ტიპები დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მისაღებად, დასაგროვებლად და შესანახად, აგრეთვე მონაწილეობს ამ ბაზებისა და საწყობების ტერიტორიული განლაგების საკითხთა გადაჭრაში;

ი) ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას სოფლის მეურნეობის იმ პროდუქციის დაგროვებისა და შენახვისადმი, რომლის დამზადებას ეწევიან სხვა სამინისტროები და უწყებანი, აგრეთვე იმას, თუ როგორაა მომზადებული დამამზადებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მისაღებად;

კ) მონაწილეობს სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში და უზრუნველყოფს ამ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად კონტროლს აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებისადმი;

ლ) ახორციელებს ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლოვანი კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის გეგმით გათვალისწინებულ და ზეგეგმით შესყიდვას;

მ) ატარებს ღონისძიებებს, რათა შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეესაბამებოდეს დადგენილ კონდიციას, და უზრუნველყოფს პურის სახელმწიფო რესურსების დაცვა-შენახვას;

ნ) მონაწილეობს მარცვლის და მისი გადამუშავების პროდუქტების ბალანსების, პურეული პროდუქტების გამოყენების გეგმების პროექტების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გამოყენების ბალანსების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო საკავშირო ფონდში გადარიცხვის და მიწოდების დავალებათა შემუშავებაში და ახორციელებს კონტროლს ამ დავალებათა შესრულებისადმი; განსაზღვრავს საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების საწარმოთა მოთხოვნილებას ნედლეულზე, უნაწილებს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სამინისტროსათვის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი ნედლეულის ფონდებს, აგრე-

თვე გადაანაწილებს საჭიროების შემთხვევაში ამ ფონდებს საწარმოო პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით.

ო) ცვლილებანი შეაქვს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკის პურეული პროდუქტების რეალიზაციის ბრუნვის გადასახადის შემოსვლის კვარტალურ და წლიურ გეგმებში პურის სახელმწიფო რესურსების ეკონომიისა და გამოყოფილი ფონდების აუთვისებლობის შემთხვევებში; კონტროლს უწევს მარცვლოვანი და ზეთოვანი კულტურების შესყიდვის ფასებში არსებული განსხვავების და რეგულირების ცენტრალიზებული ანგარიშის სახსრების დაგროვებას და ხარჯვას;

პ) უზრუნველყოფს მარცვლის, ფქვილის, ბურღულის, კომბინირებული საკვების, ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლოვანი კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის, ბალახთა თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის რეალიზაციას დადგენილი წესით, აგრეთვე სწორ ანგარიშსწორებას მყიდველებთან და ბრუნვის გადასახადზე;

ჟ) ამტკიცებს პურის სახელმწიფო რესურსების ბალანსებისა და პურეული პროდუქტების განაწილების გეგმების საფუძველზე პურის მიმღები საწარმოებიდან მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების გატანის და სხვა პურის მიმღებ საწარმოებში შეზიდვის დავალებებს; აცნობებს პურის მიმღებ საწარმოებს ზეთოვანი კულტურების თესლის, მარცვლოვანი კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლისა და ბალახთა თესლის გატანის დავალებებს, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით; განსაზღვრავს მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების, ზეთოვანი კულტურების თესლის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დაბინავების და გადაადგილების წესს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში და უზრუნველყოფს, რომ მათ დადგენილი წესის შესაბამისად წარმოადგინონ პურეული პროდუქტებისა და სხვა ტვირთის გადაზიდვის განაცხადები, იღებს ზომებს აღნიშნული ტვირთზიდვის დროული უზრუნველყოფისათვის;

რ) უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების (მათ შორის საზღვარგარეთ გასაგზავნი და საზღვარგარეთიდან მიღებული მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების) ხარისხის განსაზღვრას, ყველა საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სავალდებულო სერტიფიკატების, დოკუმენტებისა და დასკვნების გაცემას ამ მარცვლისა და პროდუქტების ხარისხის შესახებ;

ს) უზრუნველყოფს კომბინირებული საკვების ნედლეულის და გამომუშავებული კომბინირებული საკვების ხარისხის განსაზღვრას.

პურის სახელმწიფო ინსპექციის დასკვნები ნედლეულის და კომბინირებული საკვების ხარისხის შესახებ სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— უზრუნველყოფს პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტების, მისი ხარისხის დადგენისა და გამოცდის თანამედროვე საშუალებებისა და მეთოდების და-

ნერგვას, აგრეთვე კონტროლს სტანდარტების დაცვისა და დასადგენ-გამოსაცდელ საშუალებათა მდგომარეობისადმი;

ტ) ამტკიცებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოების მიერ გამოშვებულ იმ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის ტექნიკურ პირობებს, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური პირობები, კონტროლს უწევს სახელმწიფო სტანდარტებისა და ხარისხის ტექნიკური პირობების გამოყენების სისწორეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისას;

უ) განსაზღვრავს რესპუბლიკის საფქვავი, ბურღულის, კომბინირებული საკვების და საელევატორო მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

—უზრუნველყოფს, რომ საქვეუწყებო საწარმოებმა და ორგანიზაციებშა შეასრულონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დავალებანი, აწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას და ახორციელებს მოწინავე გამოცდილების ფართო გაზიარებას;

ფ) აფინანსებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მათი საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოფს დაგროვებისა და საბიუჯეტო გადასახდელების გეგმის შესრულებას, ქმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

— განიხილავს და ამტკიცებს დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ანგარიშებსა და ბალანსებს, ადგენს პერიოდულ და წლიურ კრებსით საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აწყობს სამინისტროსათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყენების აღრიცხვას;

ქ) აწყობს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვა-ანგარიშგებას საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციებში და ხელმძღვანელობს მათს წარმოებას, ახორციელებს ღონისძიებებს პირველადი აღრიცხვისა და შიდასაუწყებო სტატისტიკური და ოპერატიული ანგარიშგების შემდგომი სრულყოფისათვის გამოსათვლელი ტექნიკის უახლეს საშუალებათა ფართოდ დანერგვის გზით;

— ახორციელებს სახელმწიფო ანგარიშგების წარმოებას მარცვლის, ზეთოვანი კულტურების თესლის, ბალახთა და თივის დამზადების, საფქვავი, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის გამოშვების, მშენებლობის, სამინისტროს საწარმოებში შენახული პროდუქციის ხარისხის და გასაღების, შრომის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვა საკითხებზე, უზრუნველყოფს ამ ანგარიშგების წარდგენას საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსათვის;

— აწყობს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს, უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დაცვას და მისდამი მზრუნველ დამოკიდებულებას.

ღ) აწყობს თავის საწარმოებში არასტანდარტიზებული და დამხმარე მოწყობილობის, ნაკეთობათა, კონსტრუქციათა და მარაგნაწილების წარმოებას სამინისტროს საქვეუწყებო მოქმედი და მშენებარე საფქვავი, ბურღულის, კომბინირებული საკვებისა და პურის მიმღები საწარმოებისა და ელევატორებისათვის და ანაწილებს ამ პროდუქციას;

— განსაზღვრავს საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა მოთხოვნილებას მოწყობილობაზე, მასალებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, ახორციელებს მათს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, აკომპლექტებს მშენებარე პურის მიმღებ და მარცვლის გადამმუშავებელ საწარმოებს მოწყობილობით, ხელსაწყოებით, საკაბელე ნაკეთობებითა და სხვა ნაწარმით;

ყ) ეწევა მუშაობას ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების შერჩევის, აღზრდის, მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწორად გამოყენებისათვის;

—შეიმუშავებს წინადადებებს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების, კადრების დენადობის აღმოფხვრის ღონისძიებებს, კონტროლს უწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების გამოყენების სისწორეს, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, ხელფასის ფონდის სწორად ხარჯვას;

შ) პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა განვითარდეს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა, შემდგომ გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდეს მრეწველობის პროდუქციის ხარისხი, შემცირდეს მისი თვითღირებულება და მიმოქცევის ხარჯები პურის მიმღებ საწარმოებში, მომჭირნედ იხარჯებოდეს მატერიალური და ფულადი რესურსები, ხელმძღვანელობს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; იღებს ზომებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, დახმარებას უწევს გამომგონებლებს და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

ჩ) ორგანიზაციას უწევს მუშაობას შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დასაცავად საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

ც) უზრუნველყოფს მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროულ და გულდასმით განხილვას, აღწევს ამ წერილებში დასმული საკითხების სწორ გადაწყვეტას, აგრეთვე იღებს ზომებს, რათა აღიკვეთოს მშრომელთა წერილებში აღნიშნული და საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი.

6. საიდუმლო.

7. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს უფლება აქვს მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, აგრეთვე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული წესის შესაბამისად — სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის განმახორციელებელი სამინისტროებისა და უწყებებისაგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — უშუალოდ დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან საანგარიშო მონაცემები, რომლებიც სამინისტროს სჭირდება მასზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

8. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდეგ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ დამზადების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი.

9. საქართველოს სსრ დამზადების მინისტრს აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეების, მთავარი სამმართველოების უფროსების, სახელმწიფო ინსპექციების უფროსებისა და სამინისტროს სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საქვეუწყებო საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების საქმიანობისათვის და მისი საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის.

საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი:

ა) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას დადგენილი წესით;

ბ) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, აგრეთვე ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციამ, რომლებიც რესპუბლიკაში ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვა-მიღებას, და ამოწმებს მათს შესრულებას.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

გ) აუქმებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის და ხარისხის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორების, აფხაზეთის პურეული პროდუ-

ქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის ბრძანებებს და მითითებებს, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების, საფქვავი, ბურღულის, კომბინირებული საკვების და საელევატორო მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, მსჯელობს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის და გამოყენების საკითხებზე, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებზე, მოისმენს იმ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვასა და მიღებას, მთავარი სამმართველოების, სახელმწიფო ინსპექციების, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, მისი საქვეუწყებო სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების განსახილველად, საფქვავ, ბურღულის, კომბინირებული საკვების და საელევატორო მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსასაზღვრავად, სხვა ტექნიკურ-ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტად, მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან თვალსაჩინო მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი.

12. საქვეუწყებო საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო შექმნის არბიტრაჟს. არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი.

13. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 16 სექტემბრის № 487
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 25 თებერვლის № 94 დადგენილების შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი ამოცანებია:

ორგანიზაცია გაუწიოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას;

უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების, დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის დაწესებული ზეგეგმითი შესყიდვის დავალებებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულება;

გამოავლინოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო რესურსები და დადგენილი წესით გაუწიოს ორგანიზაცია მათს გასაღებას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ.

კოორდინაცია გაუწიოს ყველა იმ ორგანიზაციისა და საწარმოს დამამზადებელ საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადებას ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში;

განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების, ხარისხის განსაზღვრისა და შესყიდული პროდუქციისათვის ანგარიშსწორების სისწორისადმი.

განახორციელოს ღონისძიებანი იმ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, რომელსაც ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაცია ამზადებს სახელმწიფო შესყიდვის წესით.

3. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას სათავეში უდგას სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, რომელსაც ემორჩილებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექტორები და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის რაიონული სახელმწიფო ინსპექციები.

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა მისთვის მინდობილი სახელმწიფო ინსპექციის ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე და ინსპექციის უფროსი ბუღალტერი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მიერ.

სახელმწიფო ინსპექტორებსა და სახელმწიფო ინსპექციის სხვა მუშაკებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის რაიონული ინსპექციების მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებსა და ინსპექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

4. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს.

5. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მითითებანი ინსპექციის კომპეტენციაში შემავალ დამზადების საკითხებზე სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციისა და საწარმოსათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას ეწევიან მოცემულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში.

6. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით და განკარგულებებით, ამ დებულებით, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

7. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან და დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად წინადადებებს, რომ კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა მეურნეობანი მიემაგრონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამზადებლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის კორტრაქტაციის და ჩაბარება-მიღების ხელშეკრულებათა დასადებად, კოლმეურნეობებთან,

საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა პირდაპირი ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და განმტკიცების აუცილებლობის შესაბამისად;

ბ) მონაწილეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების განმახორციელებელ ადგილობრივ ორგანიზაციათა მიერ დამამზადებელი საწარმოების, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიმღები პუნქტებისა და ბაზების ქსელის ტერიტორიული განლაგების გასაზღვრაში;

გ) დადგენილი წესით აწყობს დამამზადებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დროულად დადებას კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან;

დ) კონტროლს უწევს დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესაბამისობას კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის დაგზავნილ სახელმწიფო შესყიდვის გეგმებთან, აგრეთვე დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სახელშეკრულებო მოვალეობათა შესრულებას იმის გათვალისწინებით, თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზეგეგმითი შესყიდვის რა დავალებანი აქვთ დაწესებული და რა შესაძლებლობანი გააჩნიათ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის ყოველნაირი გადიდებისათვის.

ე) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა რეგისტრაციის დადგენილი წესის დაცვას.

ვ) ამოწმებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში თუ რამდენად შეესაბამება მათი გეგმებით დასახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე ამ პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობას, რაც გათვალისწინებულია საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით, და მონაწილეობს მათ განხორციელებაში;

ზ) კონტროლს უწევს იმას, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი ორგანიზაციები, აგრეთვე კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა მეურნეობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების პირობებს, რომლებიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობითა და ტიპობრივი ხელშეკრულებებით;

თ) ამოწმებს იმას, თუ როგორ იყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ნედლეულს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში, და იღებს ზომებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა ჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე მხარეების მიერ სანქციების გამოსაყენებლად სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის;

ი) ახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები, აგრეთვე საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას დეცენტრალიზებული დამზადების წესით, დამზადების წარმოებისა და კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტებისა და ნედლეულის საკომისიოდ მიღების პირობებს;

კ) მონაწილეობას იღებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების პროექტების შემუშავებაში, რომლებიც ეგზავნებათ რაიონის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს, იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გარდა, რომელთაც შესყიდვის გეგმებს უწესებენ სამინისტროები ამ საწარმოთა დაქვემდებარების მიხედვით, აგრეთვე მონაწილეობას იღებს მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ზეგეგმითი შესყიდვის იმ დავალებათა პროექტების შემუშავებაში, რომლებიც უნდა დაუწესდეს დამამზადებელ ორგანიზაციებს;

ლ) არკვევს ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ავტონომიური ოლქის და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან ერთად მეურნეობებში სახელმწიფოსათვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზეგეგმითი შესყიდვის მოცულობის გადიდების შესაძლებლობას იმის კვალობაზე, თუ როგორი მოსავალია მოსალოდნელი და როგორია მეცხოველეობის პროდუქტიულობა, შეაქვს საჭირო წინადადებანი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური ოლქის, რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსა და შესაბამისი დამამზადებელი ორგანიზაციების განსახილველად;

მ) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის გეგმების, ზეგეგმითი შესყიდვის დავალებებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულებისადმი;

ნ) იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული ორგანიზაცია და საწარმო არ ეთანხმებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის რაიონული ინსპექციის დასკვნას, გამოაქვს დასკვნა, რომ მეურნეობანი დადგენილი წესით შეიძლება განთავისუფლდნენ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის სტიქიური უბედურების შედეგად ან დამამზადებლის მიზეზით;

ო) რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან და დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად ადგილებზე დროულად ავლენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო რესურსებს და ორგანიზაციას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ ამ პროდუქციის მიყიდვას სახელმწიფო და კოოპერაციული დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს, რათა გაუმჯობესდეს კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეების მეურნეობების ნამეტი, სახელმწიფოსათვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ, უწევს ამ მეურნეობებს ყოველმხრივ დახმარებას ნამეტი პროდუქციის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მეშვეობით, აგრეთვე დეცენტრალიზებული დამზადების წესით რეალიზაციის საქმეში;

პ) კოორდინაციას უწევს ყველა იმ საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების დამამზადებელ საქმიანობას, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნ[illegible] ლის დამზადებას სახელმწიფო შესყიდვის, დეცენტრალიზებული და[illegible],

11719

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკომისიოდ მიღების წესით და ა. შ;

ჟ) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს დამამზადებელი ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისა და ხარისხის განსაზღვრის სისწორისადმი, ამ პროდუქციისათვის სწორი და დროული ანგარიშსწორებისადმი, წყვეტს დავას, რომელიც წამოიჭრება დამამზადებლებსა, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს შორის შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შეფასებისა და წონის განსაზღვრისას;

რ) ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაგროვებისა და შენახვისადმი, აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დროული მომზადებისადმი, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, კოლმეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მისაღებად;

ს) განიხილავს საჩივრებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის რაიონული ინსპექციების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოტანილია დამამზადებლებსა, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებს შორის შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შეფასებისა და წონის განსაზღვრისას წამოჭრილი დავის გამო, და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილებანი;

ტ) ახორციელებს კონტროლს პურის მიმღებ და მარცვლის გადამმუშავებელ საწარმოებში ფქვილის, ბურღულის და კომბინირებული საკვების გამოსავლიანობისა და ხარისხისადმი;

უ) უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების მარცვლისა და მისი გადამუშავების პროდუქტების, მათ შორის საექსპორტოდ გასაგზავნი და იმპორტით მიღებული მარცვლის, აგრეთვე სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს მიერ დაწესებული სხვა უმნიშვნელოვანესი დანიშნულებით გასაგზავნი მარცვლის ხარისხის განსაზღვრას, ამასთან გასცემს ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სავალდებულო სერტიფიკატებს, დასკვნებს და სხვა დოკუმენტებს ამ მარცვლის და პროდუქტების ხარისხის შესახებ;

ფ) აწყობს და ატარებს ახალი მოსავლის მარცვლის ხარისხის ყოველწლიურ გამოკვლევას ავტონომიურ რესპუბლიკაში, ავტონომიურ ოლქში;

ქ) გადაწყვეტს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის პურეული პროდუქტებისა და ზეთოვანი კულტურების თესლის ხარისხის საკითხთა გამო წამოჭრილ უთანხმოებებს;

ღ) იძლევა დაინტერესებულ ორგანიზაციათა თხოვნით დასკვნებს საოლქო, რესპუბლიკურ გამოფენებსა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წარდგენაზე, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომ სახელმწიფო სახსრებიდან დადგენილი წესით დაჯილდოვდნენ

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გადიდებასთან დაკავშირებით;

ყ) აყენებს შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხს, რომელთაც ბრალი მიუძღვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაში;

8. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია აცნობებს ადგილობრივ ორგანოებს სახელმწიფო შესყიდვის გეგმების და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ ჩაბარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხს, შეიმუშავებს ღონისძიებებს და შეაქვს საჭირო წინადადებანი მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

9. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას უფლება ენიჭება:

ა) მოისმინოს ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაცია, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას და მიღებას;

ბ) შეაჩეროს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი საწარმო-ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დეცენტრალიზებული დამზადება და საკომისიოდ მიღება იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაარღვევენ პროდუქციის დამზადების და საკომისიოდ მიღების მოქმედ პირობებს, აგრეთვე დასვას საკითხი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მათ მიერ დამზადების და საკომისიოდ მიღების შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ;

გ) მიიღოს საანგარიშო მონაცემები ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებისა და სახელმწიფო სტატისტიკის საოლქო ინსპექტურისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებისა და შესყიდვის შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისა და მიღების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების და შესრულების მიმდინარეობის, მიმღები პუნქტებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მზადყოფნის შესახებ და სხვა მონაცემები დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით;

დ) გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის განსაზღვრისათვის ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ლაბორატორიები და ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის განყოფილებანი, მიუხედავად ამ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უწყებრივი დაქვემდებარებისა.

აღნიშნული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუყოფენ საჭირო სპეციალისტებს და აძლევენ ტექნიკურ საშუალებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ნიმუშების შესარჩევად და ხარისხის დასადგენად.

ე) საჭიროების შემთხვევაში შეარჩიოს და სპეციალურ გამოკვლევაზე გაგზავნოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნიმუშები, ამასთან ხარჯებს ანაზღაურებენ შესამოწმებელი ორგანიზაციები და საწარმოები.

10. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და მისი სახელწოდება.

---

77 საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

1971 წლის 16 სექტემბერი, № 488

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 16 სექტემბრის № 488
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში სახელმწიფო ფინანსების ორგანიზაციისადმი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო ადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილის შესრულებისათვის, აგრეთვე იმ მუშაობის ორგანიზაციისათვის, რომ მობილიზებულ იქნეს ფინანსური რესურსები საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის და უზრუნველყოს საკმარისი ფულადი სახსრებით ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ფინანსდება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— უზრუნველყოს ფინანსების აქტიური გამოყენება იმ მიზნით, რომ ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გადიდდეს სოციალისტური დაგროვებანი სახალხო მეურნეობაში და გაიზარდოს ეროვნული შემოსავალი;

— შეიმუშაოს წინადადებანი, რათა სრულყოს სახელმწიფოსთან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების ფორმები და უზრუნველყოს ფინანსური რესურსების ზრდა;

— მობილიზაცია უყოს ფულად სახსრებს და მოახმაროს ისინი დამტკიცებული გეგმების შესაბამისად იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებას, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას;

— განახორციელოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ეკონომიურად დასაბუთებული დაგეგმვა, გეგმაზომიერად გაანაწილოს რესპუბლიკის ფინანსური რესურსები, გაატაროს ღონისძიებანი, რათა დროულად და სრულად იქნეს მიღებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მთელი შემოსავალი, მომჭირნედ და დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

— კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვას, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ სახელმწიფოს წინაშე ფინანსური ვალდებულების შესრულებას.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, მისდამი დაქვემდებარებული სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებანი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო განყოფილებანი ქმნიან საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სისტემას.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საფინანსო განყოფილებათა მუშაობას ხელმძღვანელობს, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების მეშვეობით და წარმართავს რესპუბლიკური დაქვემდებაოების ორგანიზაცია-დაწესებულებათა საქმიანობას.

სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან (სსრ კავშირის სახდაზღვევასთან) ერთად, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების სისტემას, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს მეშვეობით ახორციელებს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობას.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებით და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს ამ კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებებს და შეაქვს ისინი შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს განსახილველად.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო:

ა) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მითითებათა შესაბამისად ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაფინანსებისა და საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის დარგში, სწავლობს საქართველოს სსრ სასალხო მეურნეობის დარგების ეკონომიკას და ფინანსებს იმ მიზნით, რომ გამოავლინოს და მობილიზაცია უყოს მატერიალურ და ფულად რეზერვებს, უზრუნველყოს მომჭირნეობის რეჟიმი სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება;

ბ) ორგანიზაციას უწევს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მომავალი წლის პროექტის შედგენის მუშაობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით, ადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, ადგენს საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, ასრულებს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და უზრუნველყოფს რესპუბლიკაში საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლის შემოსვლას, ახორციელებს ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში მთელი გათვალისწინებული შემოსავლის მიღება, მომჭირნედ და მხოლოდ დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს საბიუჯეტო სახსრები და საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების მიხედვით ეწევა დადგენილი წესით რესპუბლიკური ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებას საკავშირო ბიუჯეტთან და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებთან, შეაქვს ცვლილებანი საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა შემოსავალ-გასავლის ბალანსების (საფინანსო გეგმების) და ხარჯთაღრიცხვების ცალკეულ მუხლებში;

დ) ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, საწარმოებმა ზუსტად და განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს დაწესებულებებმა დაიცვან სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების დადგენილი წესები, აგრეთვე კონტროლს უწევს სსრ კავშირის მშენბანკის და სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა მიერ დაფინანსებას კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა იმ ღონისძიებათა დაწესებული გეგმების შესაბამისად, რომლებიც ხორციელდება ბიუჯეტის ასიგნებათა და დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების ხარჯზე;

ე) ადგენს ანგარიშს განვლილ წელიწადში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და წარუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ვ) ორგანიზაციას უწევს იმ მუშაობას, რომ გამოანგარიშებულ და გადახდევინებულ იქნეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები და დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის გამოსაღები, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახდელები, ბრუნვის გადასახადი და სხვა საბიუჯეტო გადასახდელები, აგრეთვე ხელმძღვანელობს ამ მუშაობას;

ზ) ახორციელებს კონტროლს მმართველობის აპარატის შენახვის სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვისადმი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ მიზნით დადგენილ ზღვრულ ასიგნებათა გადახარჯვა, შეიმუშავებს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მმართველობის აპარატის გაიაფების წინადადებებს, ახორციელებს კონტროლს მმართველობის აპარატის შტატებისა

№ 37 ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი შენახვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის, აგრეთვე სარგოებისა და ხელფასის განაკვეთების ოდენობის დაცვისადმი;

თ) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, ამოწმებს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა შესრულებას, წარუდგენს საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს მოთხოვნებს მათს საფინანსო საქმიანობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საფინანსო-საძეურნეო საქმიანობის შესახებ და შეაქვს წინადადებანი, რომ არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრის, რენტაბელობის ამაღლებისა და საფინანსო დისციპლინის და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების სხვა ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე გაიზარდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი;

ი) ახორციელებს კონტროლს დაწესებულების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო-საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი, საბიუჯეტო და საკუთარი სახსრების სწორად და მომჭირნედ ხარჯვისადმი, ამოწმებს, თუ რამდენად სწორად და დროულად უგზავნიან საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები საქვეუწყებო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საბიუჯეტო გადასახდელებისა და ბიუჯეტიდან დაფინანსების გეგმებს;

კ) განიხილავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ შესათანხმებლად წარდგენილ ინსტრუქციებს საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საწარმოო საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების მოწყობის წესის შესახებ, მათი მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით, პერიოდულად ამოწმებს სამინისტროებსა და უწყებებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობას და აძლევს მათ საჭირო რეკომენდაციებს საფინანსო კონტროლის სრულყოფისათვის;

ლ) თვალყურს ადევნებს ფულის მიმოქცევის მდგომარეობას და შეიმუშავებს წინადადებას მისი გაუმჯობესების, სახელმწიფო შინაგანი სესხების გავრცელების, ფულისა და ნივთების ლატარიის გამოშვების და გავრცელების შესახებ, ორგანიზაციას უწევს ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟების მოწყობას, მონაწილეობას იღებს მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის წლიური და პერსპექტიული ბალანსების შემუშავებაში და თვალყურს ადევნებს მათს შესრულებას;

მ) წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასკვნებს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის საკასო გეგმების თაობაზე;

ნ) ახორციელებს ხელმძღვანელობას და კონტროლს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების საქმიანობისადმი, იძლევა მითითებას სახელმწიფო დაზღვევის მოწყობის შესახებ; განიხილავს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს

სახელმწიფო დაზღვევის განვითარებისა და სრულყოფის შესახებ; განიხილავს სახელმწიფო დაზღვევის შემოსავალ-გასავლის გეგმებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; ამტკიცებს მთლიანად რესპუბლიკაში სადაზღვევო გადასახდელების შემოსულობათა კვარტალურ გეგმებს; განიხილავს და ამტკიცებს სახელმწიფო დაზღვევის წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს; ამტკიცებს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს სტრუქტურას და შტატებს, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში არსებულ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოთა სტრუქტურას; წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს იმ ღონისძიებათა ნუსხის შესახებ, რომლებიც სადაზღვევო გადასახდელების ანარიცხების ხარჯზე ხორციელდება დასაზღვევი ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე წინადადებებს აღნიშნული სახსრების ხარჯვის წესის შესახებ; განიხილავს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა მოქმედებაზე შემოსულ საჩივარ-განცხადებებს;

ო) ახორციელებს კონტროლს საბუღალტრო აღრიცხვის სწორად წარმოებისადმი და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების შედგენის დადგენილი წესის დაცვისადმი, ორგანიზაციას უწევს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ არის დაყენებული საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, სწორად იყენებენ თუ არა საწარმოებში, ორგანიზაციებში (კოლმეურნეობათა გარდა), დაწესებულებებში მოქმედ დებულებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების საკითხებზე, რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ტიპობრივი ფორმების საფუძველზე საბუღალტრო ანგარიშგების მოცულობას და ფორმებს ცალკეული რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე განსაზღვრავს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ კრებსითი საბუღალტრო ანგარიშების და ბალანსების წარდგენის დიფერენცირებულ ვადებს;

პ) წარმართავს საფინანსო ორგანოების მუშაობას კონტროლის გასაწევად კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა მიერ ანარიცხების დროულად გადახდისადმი;

ჟ) დადგენილი წესით აჯილდოებს სამინისტროს სისტემის ორგანიზაციადაწესებულებათა მოწინავე მუშაკებს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საპატიო სიგელებით, იყენებს წახალისების სხვა ფორმებს, აგრეთვე წარუდგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს თავისი სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საუკეთესო მუშაკთა კანდიდატურებს, რათა დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით და სამკერდე ნიშნით „საფინანსო მუშაობის წარჩინებული“, ხოლო სამინისტროს სისტემის მოწინავე კოლექტივები — საპატიო სიგელებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) უზრუნველყოფს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მოქალაქეთა წერილების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ და გულდასმით განხილვას, აგრეთვე იღებს ზომებს, რათა სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში აღმოიფხვრას მოქალაქეთა მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი;

ს) ახორციელებს მუშაკთა შერჩევისა და განაწილების ლენინურ პრინციპებს, ავლენს სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას კვალიფიციურ კადრებზე და უზრუნველყოფს მის დაკმაყოფილებას; აწყობს სპეციალისტთა მომზადებას, აგრეთვე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას დადგენილი წესით; საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით ეწევა მუშაობას, რათა კადრები აღიზარდოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და სახელმწიფო ინტერესების და დისციპლინის მკაცრად დაცვის სულისკვეთებით.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს:

ა) მიიღოს დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საჭირო მასალები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესასრულებლად, აგრეთვე საბუღალტრო ანგარიშები, ბალანსები და სხვა მასალები და საანგარიშო მონაცემები, რომლებიც საჭიროა დაფინანსების საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვისათვის, კონტროლის განხორციელებისათვის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს წინაშე საფინანსო ვალდებულებათა შესრულებისა და სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი, აგრეთვე სამინისტროზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებისათვის; მიიღოს საკრედიტო დაწესებულებებისაგან მათი წესდების შესაბამისად ცნობები დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ;

ბ) შეზღუდოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა მათ მიერ სახსრების უკანონოდ ხარჯვის ფაქტები, აგრეთვე, წინათ გაცემული სახსრების ხარჯვის ანგარიშებისა და სხვა დაწესებულ ანგარიშგებათა წარუდგენლობა, ამასთან აცნობოს ეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს;

გ) გადაახდევინოს დადგენილი წესით გადამხდელებს ვადაზე გადაუხდელი გადასახადები და არასაგადასახადო გადასახდელები სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო კოლმეურნეობებს — აგრეთვე ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში;

დ) ჩაატაროს ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა საფინანსო საქმიანობის რევიზიები და შემოწმებანი და სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიები და შემოწმებანი დადგენილი წესით, შეამოწმოს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პირველადი დოკუმენტების მიხედვით საბიუჯეტო გადასახდელებისა და ბიუჯეტიდან სახსრების მიღების ანგარიშების სისწორე, მოითხოვოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიზიებისა და შემოწმებების დროს ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების, საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრების, ანგარიშების, ხარჯთაღრიცხვების და გეგმების წარდგენა, მიიღოს სხვა დაწესებულებებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საჭირო ცნობები და იმ დოკუმენტების პირები, რომლებიც ეხება შესამოწმებელი დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ოპერაციებს, მისცეს ამ დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი საფინანსო დისციპლინის გამოვლინებული დარღვევების აღკვეთის შესახებ;

ე) განახორციელოს კონტროლი იმისადმი, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა დროულად და სწორად განიხილონ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები, შეიტანოს წინადადებანი ანგარიშებსა და ბალანსებში საჭირო შესწორებების შესახებ, აგრეთვე შეამოწმოს, რა ზომებია მიღებული ამ წინადადებათა განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, დებულების ამ პუნქტში აღნიშნულ უფლებებთან ერთად, აქვს აგრეთვე სხვა უფლებებიც, რომლებიც საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (მინისტრს) ენიჭება მოქმედი კანონმდებლობით.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდეგ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეების, მთავარი სამმართველოს, სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისა და სამინისტროს სისტემის ორგანიზაცია-დაწესებულებათა მუშაობისათვის.

11. საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ბრძანებების და ინსტრუქციების საფუძველზე და მათს შესასრულებ-

ლად და გასცემს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების, საშინისტროს სისტემის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და ამოწმებს მათს შესრულებას.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

12. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად და შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაციის ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, იმსჯელებს სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებზე, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების, წესებისა და ინსტრუქციების პროექტებზე, მოისმენს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრების და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, სამინისტროს მთავარი სამმართველოს, სამმართველოების, განყოფილებებისა და საქვეუწყებო ორგანიზაცია-დაწესებულებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (კოლმეურნეობათა გარდა) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის, სახალხო მეურნეობის საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის და დაფინანსების მეთოდიკის სრულყოფის წინადადებათა განხილვის საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში შეიქმნება შესაბამისი მეთოდური (მეთოდოლოგიური) საბჭოები, რომლებშიც შედიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, თვალსაჩინო მეცნიერები, სამეცნიერო საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მეთოდური (მეთოდოლოგიური) საბჭოების შემადგენლობას და მათს დებულებებს ამტკიცებს მინისტრი.

14. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე დებულებას სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

15. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 680 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 680 დადგენილებისა „სამასალე მერქნისაგან ზოგიერთი ნაკეთობების დამზადების აკრძალვის შესახებ“, მთელი რიგი უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კოლმეურნეობები (სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გათბობის კანტორა, სოხუმის, გაგრის, ბათუმისა და ქობულეთის მეთევზეობის კოლმეურნეობები, გაგრის რაიმრეწკომბინატი, გაგრის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია და სხვ.) განაგრძობენ მერქნის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას ხელის იარაღების და სამეურნეო ინვენტარის ტარების დასამზადებლად და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანად.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სოხუმის, გაგრისა და გულრიფშის რაიაღმასკომებმა რაიონის საჭიროებისათვის განკუთვნილ ტყესაკაფის ფონდიდან ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს გამოუყვეს ხე-ტყე, რომელიც შემდგომ გადამუშავდა ხელის იარაღებად და სამეურნეო ინვენტარის ტარებად, ამავე დანიშნულებით იქნა გამოყენებული წულუკიძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ ბათუმის მეთევზეობის კოლმეურნეობაზე მიყიდული 283 კუბ. მეტრი წიფლის მერქანი.

ხელის იარაღების, სამეურნეო ინვენტარის ტარების და ხე-ტყის ნარჩენებისაგან დამზადებულ სხვადასხვა ნაკეთობათა წარმოება-რეალიზაციის საქმეში წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც თავიანთ სისტემაში აქვთ ხელის იარაღებისა და სამეურნეო ინვენტარის ტარების დამამზადებელი საწარმოები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეისწავლონ ადგილებზე მერქნის არადანიშნულებით გამოყენების საკითხი და სრული წესრიგი დაამყარონ ხელის იარაღების და სამეურნეო ინვენტარის ტარების წარმოება-რეალიზაციის საქმეში.

2. აეკრძალოს ყველა უწყებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას ხე-ტყის გადამუშავების ნარჩენებისაგან დამზადებული ყველა სახის ხის ნაკეთობათა რეალიზაცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, გარდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სსრკ სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, სსრკ საზღვაო ფლოტის საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაში იმყოფება სატრანსპორტო საშუალებანი, არ დაუშვან ხელის იარაღების, სამეურნეო ინვენტარის

ტარების და ხის სხვა ნაკეთობათა გადაზიდვა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, გარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოშვებული პროდუქციისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 16 სექტემბერი, № 493

79 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 631 დადგენილება „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 23 სექტემბერი, № 499

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 499
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს მიწების მელიორაციას საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფო სამეურნეობათაშორისო სარწყავი, დამშრობი და გამაწყლიერებელი ქსელისა და სახელმწიფო სამელიორაციო ნაგებობათა ექსპლოატაციას.

საქართველოს სსრ მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობა აკისრია რესპუბლიკის მიწების მელიორაციის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, ამ დარგის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის, სამელიორაციო მშენებლობის და სამელიორაციო სისტემა-ნაგებობათა ექსპლუატაციის ტექნიკური დონისათვის, აგრეთვე გაწეულ სამუშაოთა ხარისხისათვის.

2. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად მიწების მელიორაციის განვითარება, სამელიორაციო სისტემებისა და ნაგებობების ექსპლოატაციის სრულყოფა, სამუშაოთა შესრულების ტემპის ამაღლება და ხარისხის გაუმჯობესება, მათი თვითღირებულების შემცირება და შრომის ნაყოფიერების ზრდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, რათა შეიქმნას საუკეთესო, უამინდობის მიუხედავად პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის;

შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

უზრუნველყოს სამელიორაციო და სხვა სამუშაოთა შესრულება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, მათი ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, მოიპოვოს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები სამელიორაციო და სხვა სამუშაოთა შესრულებისას;

რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და ვადები, დროულად აამოქმედოს საწარმოო სიმძლავრენი და ძირითადი ფონდები, აგრეთვე მოკლე ვადაში აითვისოს საწარმოო სიმძლავრენი;

დანერგოს სამინისტროს სისტემაში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში;

გააუმჯობესოს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შეუქმნას მათ შრომის უსაფრთხო პირობები;

3. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობას ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, ტერიტორიული საექსპლუატაციო სამმართველოები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, წყალსამეურნეო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქწყალსახპროექტი", სამრეწველო საწარმოები, ჯგუფობრივი სასოფლო წყალსადენების მთავარი სამმართველო „მთავარსოფლწყალსადენი" და სამინისტროს სხვა საქვეუწყებო დაწესებულებანი, ორგანიზაციები და საწარმოები ქმნიან საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთიან სისტემას.

4. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, რომელიც წამყვანია რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში, ახორციელებს კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან სამელიორაციო და წყალსამეურნეო სამუშაოთა ტექნიკური დონის სრულყოფის დარგთშორისო საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტაში.

5. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, ამ დებულებით, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეაქვს ისინი დადგენილი წესით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

6. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების საფუძველზე მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს სამელიორაციო და წყალსამეურნეო მშენებლობის პროექტებს, პროგრამებსა და ხარჯთაღრიცხვებს იმ ზელიმიტური ობიექტების გამოკლებით, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინება შესაბამის ინსტანციებს არსებული დებულების თანახმად;

გ) ახორციელებს საპროექტო-საძიებო სამუშაოებს სამელიორაციო და წყალსამეურნეო მშენებლობის ობიექტებში;

დ) ახორციელებს ოპერატიულ კავშირს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, ატარებს ღონისძიებებს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დახერგვისა და მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის;

ე) ხელმძღვანელობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას: შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

ვ) ახორციელებს სახელმწიფო სამეურნეობათაშორისო სარწყავი, დამშრობი და გამაწყლიერებელი ქსელისა და სახელმწიფო სამელიორაციო ნაგებობათა ექსპლოატაციას;

ზ) ახორციელებს ღონისძიებებს წყალდიდობისა და ღვარცოფის წინააღმდეგ საბრძოლველად სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების დაცვისათვის;

თ) თვალყურს ადევნებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიდასამეურნეო სარწყავი და დამშრობი ქსელის მდგომარეობას და წყლის რაციონალურ გამოყენებას მეურნეობებში, ამასთან ორგანიზაციულ და ტექნიკურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც შიდასამეურნეო ქსელში ახორციელებენ ექსპლუატაციო ღონისძიებებს;

ი) უზრუნველყოფს ცალკეულ წყალმოსარგებლეებს სახელმწიფო სარწყავი სისტემების წყლით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სამრეწველო-სამეურნეო, ენერგეტიკულ და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად წყალსარგებლობის გეგმების საფუძველზე;

კ) უზრუნველყოფს სამელიორაციო კადასტრის წარმოებას: ეწევა სარწყავ, დამშრობი და გამაწყლიერებელი სისტემებისა და ნაგებობების პასპორტიზაციას. აანალიზებს სამელიორაციო კადასტრის მონაცემებს და პასპორტიზაციის

შედეგებს და ითვალისწინებს მათ სამელიორაციო და წყალსამეურნეო ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების დროს;

ლ) ახორციელებს კონტროლს წყალმოსარგებლეთა იმ ძირითადი უფლებამოვალეობათა დაცვისადმი, რომლებიც მოცემულია „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების“ მე-17 და 23-ე მუხლებში, კონტროლს უწევს წყლის ობიექტების რაციონალურ გამოყენებას, წყალსამეურნეო სისტემებისა და ნაგებობების წესივრობას, წყალსარგებლობის ღადგენილი გეგმების, წესების, ნორმების, რეჟიმების და სხვათა დაცვას;

მ) ახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, კაპიტალდაბანდებათა კონცენტრაციას ასამოქმედებელ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას.

კაპიტალურ მშენებლობას ეწევა, როგორც წესი, იჯარით, საკუთარი საიჯარო ორგანიზაციების ძალებით;

ნ) ადგენს კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიულ გეგმებს, შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე მომავალი წლების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს;

ო) ახორციელებს კონტროლს სამელიორაციო ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის იმ წესებისა და ნორმების სწორად გამოყენებისადმი, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ და შეთანხმებულია სსრ კავშირის სახმშენთან;

პ) უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულ შემუშავებას, დამტკიცებას და მშენებლობებისათვის მიცემას;

კონტროლს უწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აწყობს საავტორო ზედამხედველობას მშენებლობისადმი;

ჟ) უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას;

მონაწილეობას იღებს სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლოატაციოდ მიმღებ კომისიებში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნიშნავს მშენებლობადამთავრებული სამელიორაციო სისტემების, შენობათა და სხვა ნაგებობათა საექსპლოატაციოდ მიმღებ კომისიებს, ამტკიცებს მათი მიღების აქტებს და იღებს გადაწყვეტილებას კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო ანგარიშსწორების დახურვის შესახებ;

რ) მონაწილეობს სარწყავი მიწების ყოველწლიურ აღრიცხვაში, რასაც აწყობენ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემის ორგანიზაციები, და ამ მიწების გამოყენების ყოველწლიურ აღრიცხვაში, რომელსაც ატარებენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოები, აანალიზებს აღრიცხვის შედეგებს და შეაქვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში წინადადებანი მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდეგ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

8. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეების, განყოფილებების, სამმართველოების უფროსების და სამინისტროს სხვა ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

10. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, და იძლევა მითითებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ სამინისტროს სისტემის საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, ამასთან ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

11. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს რესპუბლიკაში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, იმსჯელებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებზე, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებზე, მოისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების ანგარიშებს და სამინისტროს სისტემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების და წარმოებაში დანერგვის წინადადებების, აგრეთვე წყალსამეურნეო მშენებლობის ობიექტების პროექტებისა და მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების განსახილველად საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შედიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და წარმოების ნოვატორები, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები;

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

13. საქვეუწყებო საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი დავის გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში იქმნება საუწყებო არბიტრაჟი, რომელსაც უფლება ენიჭება გასცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების შესახებ. არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

14. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა სტრუქტურას და რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს შეუძლია ცვლილებანი შეიტანოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციათა სტრუქტურას, შტატებსა და მათ დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

მინისტრს შეუძლია სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანოს მთავარი სამმართველოები, სამმართველოები და სამინისტროს განყოფილებანი სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

15. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება ქართულ და რუსულ ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80 ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების დებულების დამატებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 2 ივლისის № 351 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 აპრილის № 215 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

— მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები წარმოადგენენ საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის ერთიან რგოლებს, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი ქალაქის ან რაიონის მასშტაბით სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში“.

— მე-9 პუნქტის პირველი აბზაცი შეივსოს შემდეგი სიტყვებით:

„აგრეთვე თუ როგორ იცავენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში ფასების დაწესებისა და გამოყენების დარგში სახელმწიფო დისციპლინას და მოსახლეობასთან ანგარიშსწორების სისწორეს“.

— მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იცავენ თუ არა საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი კვების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დაწესებულ ფასებს, ტარიფებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებას“;

დაემატოს მე-9 პუნქტს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) არის თუ არა საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებში თვალსაჩინო საინფორმაციო მასალები სამუშაოებისა და მომსახურების მოქმედი ფასებისა და ტარიფების შესახებ, დაკვეთების მიღების, შესრულებისა და გაცემის წესებზე, დაკვეთების შესრულების წესისა და ვადების თაობაზე“;

— მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-5 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„—სისტემატურად მოისმენენ სხდომებზე სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებისა და სა-

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების ხელმძღვანელების, აგრეთვე სავაჭრო საწარმოებთან არსებული კომისიების თავმჯდომარეების მოხსენებებს ფასების (ტარიფების) და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის საკითხებზე";

— მე-11 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-6 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„—შეიმუშავებენ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაჭრობის კულტურის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას, ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ლიკვიდაციას, და განსახილველად წარუდგენენ აღმასრულებელ კომიტეტს";

მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. აღმასკომთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიას უფლება აქვს:

ა) საჭირო შემთხვევაში შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად მასალები შემოწმების შედეგების შესახებ;

ბ) გაეცნოს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად;

გ) მიიღოს ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საჭირო დოკუმენტები და განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმ მუშაობასთან, რასაც კომისია ეწევა;

დ) მოისმინოს კომისიის სხდომაზე ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ინფორმაცია კომისიის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე;

ე) შეიტანოს ზემდგომი ორგანოების განსახილველად წინადადებანი, რომ პასუხისგებაში მისცენ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ფასების დარღვევის, მყიდველთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენის შემთხვევებში;

ვ) იმ მუშაკთა მიმართ აღძრული საქმეები, რომლებმაც დაუშვეს დარღვევა ან ჩაიდინეს ბოროტმოქმედება, გადასცეს ამხანაგურ სასამართლოებს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას დარღვევისათვის ჯარიმის დასადებად, თუ ეს დარღვევა არ შეიცავს ისეთ მოქმედებათა ნიშნებს, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 23 სექტემბერი, № 500

ეროვნული ბიბლიოთეკა

81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აპრილის № 167 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

აღინიშნოს, რომ ამჟამად მოქმედ ხეხილის ჯიშობრივ დარაიონებაში, ცალკეული კულტურების მიხედვით, ადგილი აქვს მნიშვნელოვან მრავალჯიშიანობას. ასე მაგალითად, დარაიონებულია ვაშლის 17 ჯიში, მსხლისა — 9, ქლიავისა და ტყემლისა — 12, ატმისა — 20, ლეღვისა — 15 ჯიში და სხვა. ხეხილოვანი კულტურების დარაიონებული ჯიშების სიმრავლემ გაართულა სანერგე მეურნეობათა მუშაობა მაღალხარისხოვანი ნერგების გამოყვანის დარგში, გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და საქართველოს სსრ-ში სოფლის მეურნეობის კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ინსპექტურის მონაცემებით, ხეხილისა და ვაზის ზოგიერთი დარაიონებული ჯიშები ძეტად მცირე ან უხარისხო მოსავალს იძლევა, ნარგაობანი ადვილად ავადდებიან და ნაადრევად ბერდებიან. აღნიშნულ გარემოებათა გამო ცალკეულ შემთხვევებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურეიობებში გაშენებულია მრავალჯიშიანი, მცირემოსავლიანი ნარგავები.

ხეხილის, ვაზისა და სუბტროპიკული კულტურების ჯიშობრივ დარაიონებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, „საქართველოს სსრ-ში ხეხილის, ვაზის და სუბტროპიკული კულტურების ჯიშობრივი დარაიონების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აპრილის № 167 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხეხილის, ვაზისა და სუბტროპიკული კულტურების შემცირებული და შესწორებული ჯიშობრივი დარაიონება № 1—13 დანართების თანახმად.

2. დაევალოს სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, კვების მრეწველობის სამინისტროებს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, „საქკონსერვხილბოსტანს“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, რესპუბლიკის რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს, კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს და საბჭოთა მეურნეობებისა და სანერგე მეურნეობების დირექტორებს ბაღების, ვენახებისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ ხეხილის, ვაზისა და სუბტროპიკული კულტურების თანდართულ (შესწორებული) ჯიშობრივი დარაიონებით.

3. სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა უახლოეს დროში დაუგზავნონ რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს, საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სანერგე მეურნეობებს ხეხილის, ვაზისა და სუბტროპიკული კულტურების ჯიშობრივი დარაიონება სახელმძღვანელოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 23 სექტემბერი. № 505.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 1

ხეხილოვან კულტურების ვენახის და სუბტროპიკული კულტურების ჯიშობრივი დარაიონება საქართველოს სსრ-ში

ხილის, ყურძნის, ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად, მოვლის ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯიშების სწორად განლაგებას ზონების მიხედვით.

ბუნებრივი და ეკონომიური პირობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეტად ჭრელია, ამიტომ ერთი და იგივე ჯიშის სამეურნეო ღირებულება ყველგან ერთი არ არის.

რაიონები, რომლებიც მსგავსია ნიადაგობრივი კლიმატური და ეკონომიური პირობებით გაერთიანებულია შემდეგ მეხილეობის, მევენახეობის და სუბტროპიკულ ზონებსა და ქვეზონებში.

1. კახეთი: — ახმეტის, თელავის, ყვარილს, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს და საგარეჯოს რაიონები.

— საკონსერვო ზონა მეხილეობაში, — საკონსერვო ქარხნების ხილეულის ნედლეულით დაკმაყოფილება. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრების მოსახლეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მევენახეობაში: მაღალხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების, სადესერტო წითელი და საკონიაკე ღვინო მასალების წარმოება.

II. ქვემო ქართლი: — თეთრიწყაროს, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონების დაბლობი ნაწილი.

საგარეუბნო ზონა: — ხილითა და სუფრის ყურძნით მოსახლეობის და ნაწილობრივად საკონსერვო ქარხნების ნედლეულით მომარაგება სწარმოებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

მევენახეობაში — თეთრი და წითელი სუფრის ღვინოებისა და საკონიაკე ღვინო მასალების წარმოება;

III. შიდა ქართლი: — ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, დუშეთის, მცხეთის, ცხინვალის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონების დაბლობი ნაწილი.

მეხილეობის სამრეწველო რაიონები — ხილის დამზადება სწარმოებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანად, საკონსერვო ქარხნების ნედლეულით უზრუნველსაყოფად და ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ნედლი ხილით.

მევენახეობაში — შამპანური, თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების და სუფრის ყურძნის წარმოება.

IV. მესხეთი — ასპინძის, ახალციხის, ადიგენის რაიონები.

სამრეწველო მეხილეობის ზონა.

ხილი მზადდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანად, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის მოსამარაგებლად, მევენახეობაში — სუფრისა და შამპანური ღვინოების წარმოება.

V. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა — ბორჯომის, ხაშურის, გორის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თიანეთის, დმანისის, ბოლნისის, ლენინგორის, ზნაურის, ცხინვალის, ჯავის, წალკის რაიონები და თუშეთის მთიანეთი.

ხილეული მზადდება რესპუბლიკური ცენტრების ნაწილობრივად მოსამარაგებლად და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

VI. ზემო იმერეთი — საჩხერის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, თერჯოლის და ტყიბულის რაიონები.

ხილი მზადდება რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრებისათვის, საკონსერვო ქარხნების ნედლეულით უზრუნველსაყოფად და ადგილობრივი მოსახლეობის ნედლი ხილით და სუფრის ყურძნით მოსამარაგებლად.

მევენახეობაში — შამპანური, თეთრი, წითელი სუფრის ღვინოების და საკონიაკე ღვინომასალის და ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება.

VII. ქვემო იმერეთი — ვანის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, წყალტუბოს და წულუკიძის რაიონები. ხილის დამზადება წარმოებს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრებისათვის და რესპუბლიკის გარეთ გასატანად, საკონსერვო ქარხნების უზრუნველსაყოფად ნედლეულით და ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.

მევენახეობაში — შამპანური, თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების და საკონიაკე ღვინომასალების წარმოება, ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება.

VIII. გურია-სამეგრელო:

VIIIა — გორაკებიანი და მცირე მთიანი მთის წინა ქვეზონა, რომლებიც ეკვრიან კოლხეთის დაბლობს — მახარაძის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონები და ლანჩხუთის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონების გორაკებიანი ნაწილი.

VIIIბ — ქვეზონა — კოლხეთის დაბლობი — ზუგდიდის, ხობის, აბაშის რაიონები, ლანჩხუთის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონების დაბლობი ნაწილი ჩაის კულტურის, ციტრუსების, თხილისა და სხვა ხეხილოვანი კულტურების სამრეწველო რაიონებია. ციტრუსოვანთა ნაყოფი და სხვა ხილეული მზადდება რესპუბლიკის გარეთ გასატანად, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრების, საკონსერვო ქარხნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

მევენახეობაში — სუფრის ყურძნის და სუფრის ღვინოების წარმოება.

IX. რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი — ონის, ცაგერის, ამბროლაურის, ლენტეხის და მესტიის რაიონები. ხილი მზადდება რესპუბლიკის გარეთ გასატანად და ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

ყურძენი იწარმოება თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად.

X. აფხაზეთის ასსრ —

Xა — მაღალმთიანი ზონა — გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, გალის და ოჩამჩირის რაიონების მთისძირა წვრილგორაკებიანი და საშუალო მთიანი ზონა.

Xბ — სუბტროპიკული დაბლობი — გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, გალისა და ოჩამჩირის რაიონების ვაკე, შემოფარგლული ბორცვებიანი ნაწილი.

საკურორტო და საკონსერვო ზონა — ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება, ციტრუსოვანთა ნაყოფი და სხვა ხილეული მზადდება რესპუბლიკის გარეთ გასატანად, რესპუბლიკური ცენტრების და ადგილობრივი მოსახლეობის ნედლი ხილით დასაკმაყოფილებლად და საკონსერვო ქარხნების ნედლეულით უზრუნველსაყოფად. ყურძენი იწარმოება თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების დასამზადებლად და სუფრის ყურძნით ადგილობრივი მოსახლეობის მოსამარაგებლად.

XI. აჭარის ასსრ:

XIა — მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონა — ბათუმის და ქობულეთის რაიონები.

XIბ — ზედა აჭარის ქვეზონა — ქედის, შუახევის და ხულოს რაიონები.

ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება, ციტრუსოვანთა და სხვა კულტურების ნაყოფი იწარმოება რესპუბლიკის გარეთ გასატანად, რესპუბლიკური ცენტრების, ადგილობრივი მოსახლეობის და საკონსერვო ქარხნების ნედლეულით მოსამარაგებლად. ყურძენი მზადდება თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების საწარმოებლად.

ცალკეული ზონების ბუნებრივი ეკონომიური პირობების და სახელმწიფო დავალების გათვალისწინებით, განსაზღვრულია სუბტროპიკული და კონტინენტალური მეხილეობის და მევენახეობის მიმართულება ზონების მიხედვით; ამასთან დაკავშირებით დადგენილია ხეხილოვანი კულტურების და ვენახის ხვედრითი წონა და სტანდარტული ჯიშების რაოდენობა.

სტანდარტულ ჯიშებს მიეკუთვნება — გამძლე ჯიში, რომელიც ადგილობრივ კლიმატურ პირობებში იძლევა უხვ მოსავალს, ხასიათდება კარგი გემოთი და მაღალი ტექნიკური მაჩვენებლებით.

ამა თუ იმ ზონისათვის სუბტროპიკული და კონტინენტალური ხეხილოვანი და ვენახის კულტურა შერჩეულია იმ ვარაუდით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მოსახლეობის მოთხოვნილება ნედლ ხილზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხოლო საკონსერვო ქარხნები და ღვინის ქარხნები — ნედლეულით.

დარაიონებული ჯიშები ხარისხის მხრივ აკმაყოფილებს ზონის ძირითად მიმართულებას.

ჯიშები, რომლებიც შეტანილია ზონის სტანდარტულ სორტიმენტში, უზრუნველყოფილი არიან დამამტვრიანებლებით, რომლებიც ამორჩეულია სტანდარტული ჯიშებიდან, ამ მოსაზრებით სტანდარტულ სორტიმენტში შესატანი ჯიშების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში შერჩეულია ხეხილის სტანდარტული ჯიშები: ვაშლის — 11, მსხლის — 4, კომშის — 4, ქლიავის — 4, ტყემლის — 3, ბალის — 3, ალუბლის — 2, ატმის — 11, გარგარის — 3, თხილის — 5, ნუშის — 5, ხურმის — 5, ბროწეულის — 5, ლეღვის — 5, ყურძნის — 32, ჩაის — 8, მანდარინის — 3, ფორთოხლის — 5, გრეიფრუტის — 2, ლიმონის — 3.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

მუხანაძეების ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 2

ხეხილოვანი კულტურების ჯგუფების პროცენტული შეფარდება მეხილეობის ზონების მიხედვით

მეხილეობის ზონები	თესლოვნები	კურკოვნები	კაკალნაყოფიანები	სუბტროპიკული
I კახეთი	50	35	5	10
II ქვემო-ქართლი	50	40	7	3
III შიდა ქართლი	70	25	5	—
IV მესხეთი	80	10	10	—
V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	75	15	10	—
VI ზემო იმერეთი	70	20	10	—
VII ქვემო იმერეთი	50	35	10	5
VIII გურია-სამეგრელო	45	30	15	10
IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	80	10	10	—
X აფხაზეთის ასსრ	50	30	10	10
XI აჭარის ასსრ	60	20	10	10

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 3

თესლოვანი კულტურების ფართობების პროცენტული შეფარდება მეხილეობის ზონების მიხედვით

მეხილეობის ზონები	ვაშლი	მსხალი	კომში
I კახეთი	50	40	10
II ქვემო ქართლი	45	50	5
III შიდა ქართლი	75	20	5
IV მესხეთი	75	25	—
V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	80	20	—
VI ზემო იმერეთი	75	20	5
VII ქვემო იმერეთი	50	40	10
VIII გურია-სამეგრელო	55	40	5
IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	80	15	5
X აფხაზეთის ასსრ	50	45	5
XI აჭარის ასსრ	55	40	5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 4

ყურკოვანი კულტურების ფართობების პროცენტული შეფარდება მეხილეობის ზონების მიხედვით

მეხილეობის ზონები	ქლიავი	ატამი	გარგარი	ბალი	ალუბალი	ტყემალი
I კახეთი	20	40	5	20	5	10
II ქვემო ქართლი	20	30	10	25	10	5
III შიდა ქართლი	20	35	5	25	5	10
IV მესხეთი	50	—	—	20	10	20
V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	50	—	5	15	15	15
VI ზემო იმერეთი	40	15	—	20	5	20
VII ქვემო იმერეთი	30	20	—	20	—	30
VIII გურია-სამეგრელო	35	20	—	20	10	15
IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	50	5	—	15	5	25
X აფხაზეთის ასსრ	40	30	—	15	5	10
XI აჭარის ასსრ	40	20	—	15	15	20

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 5

კაკალნაყოფიანი კულტურების პროცენტული ფართობების შეფარდება მეხილეობის ზონების მიხედვით

მეხილეობის ზონები	კაკალი	თხილი	ნუში
I კახეთი	75	15	10
II ქვემო ქართლი	90	—	10
III შიდა ქართლი	90	—	10
IV მესხეთი	100	—	—
V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	100	—	—
VI ზემო იმერეთი	80	20	—
VII ქვემო იმერეთი	80	20	—
VIII გურია-სამეგრელო	40	60	—
IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	80	20	—
X აფხაზეთის ასსრ	60	40	—
XI აჭარის ასსრ	80	20	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 6

სუბტროპიკული ხეხილის ფართობების პროცენტული შეფარდება მეხილეობის ზონების მიხედვით

მეხილეობის ზონები	ლეღვი	ბროწეული	ხურმა სუბ-ტროპიკული
I კახეთი	60	20	20
II ქვემო ქართლი	55	25	20
III შიდა ქართლი	—	—	—
IV მესხეთი	—	—	—
V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	—	—	—
VI ზემო იმერეთი	—	—	—
VII ქვემო იმერეთი	45	25	30
VIII გურია-სამეგრელო	35	25	40
IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	—	—	—
X აფხაზეთის ასსრ	40	15	45
X აჭარის ასსრ აჭარის მაღალი ზონის გარეშე	35	15	50

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 7

ხეხილის ჯიშთა დარაიონება მეხილეობის ზონების მიხედვით საქართველოს სსრ-ში

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონები										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
ვაშლი											
ზაფხულის ჯიშები											
1. ასტრახანული წითელი	—	+	—	—	+	+	+	+	—	—	—
2. სუსილეპერი	—	—	—	—	—	+	+	+	—	+	—
შემოდგომა-ზამთრის ჯიშები											
3. ზამთრის ოქროს პარმენი	—	—	—	+	+	+	—	+	+	+	+
4. კანადური რენეტი	—	—	—	+	+	+	+	+	+	+	+
5. შამპანური რენეტი	+	+	+	+	+	+	+	—	+	+	+
6. კეხურა	+	+	+	+	+	—	—	—	—	—	—
7. გოლდენ დელიშესი	+	+	+	+	+	+	—	—	+	+	—
8. ქართული სინაპი	+	—	+	+	+	+	—	—	+	—	—
9. ზამთრის ბანანი	+	+	+	+	+	—	—	—	+	—	—
10. ლონდონის პეპინი	+	+	+	+	+	—	—	—	+	—	—
11. პეპინ-პარკერი	—	—	—	—	—	+	+	+	—	+	+
მსხალი											
ზაფხულის ჯიშები											
1. ვილიამსი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
შემოდგომა-ზამთრის ჯიშები											
2. ბერეგბოსკი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
3. კიფერის თესლნერგი	—	—	—	—	—	+	+	+	—	+	+
4. ბერეარდანპონი	+	+	+	+	—	—	—	—	—	—	—
კომში											
1. ქართული მჟავე	+	+	+	+	—	+	+	+	+	+	+
2. საკომპოტე	+	+	+	+	—	+	+	+	+	+	+
3. მალაჩინა	+	+	+	+	—	+	+	+	+	+	+
4. შილდა	+	+	+	+	—	+	+	+	+	+	×

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონები										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
ქლიავი											
საადრეო სიმწიფის											
1. ატმისებრი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
საშუალო სიმწიფის											
2. ალტანის რენგლოდი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
საგვიანო სიმწიფის											
3. იტალიური უნგრულა	+	+	+	+	+	+	—	+	+	+	+
4. შავქლიავა	+	—	—	—	+	+	+	+	+	+	+
ტყემალი											
1. გულდედავა	+	+	+	+	+	+	+	+	+	—	—
2. გაზაფხულის მერცხალი	+	+	+	+	+	+	+	+	+	—	—
3. წითელი დროშა	—	+	—	+	—	—	—	+	—	—	—
ბალი											
1. დროგანა ყვითელი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
2. თათრული შავი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
3. ხარისგულა	+	+	+	+	+	—	—	—	—	+	—
ალუბალი											
1. პოდბელსკი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
2. ქართული ალუბალი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ატამი											
საადრეო სიმწიფის											
1. საკონსერვო საადრეო	+	+	+	—	—	—	—	—	—	—	—
2. ამსდენი	—	—	—	—	—	+	+	+	+	+	+
საშუალო სიმწიფის											
3. ერისთავის ვარდისფერი	+	+	+	—	—	+	+	+	+	+	+
შემოდგომის ჯიშები											
4. ელბერტა	+	+	+	—	—	+	+	+	+	+	+
5. ხიდისთაური ვარდისფერი	+	—	+	—	—	+	+	+	+	+	+
6. ხიდისთაური თეთრი	+	+	+	—	—	—	—	—	—	—	—
7. ბესტავაშვილი	+	+	+	—	—	—	—	—	—	—	—
8. **გუდაუთის საკონსერვო**	—	—	—	—	—	—	+	+	+	+	+

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონები										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
საგვიანო სიმწიფის											
9. ბერების ატამი	+	+	+	—	—	—	—	—	—	—	—
10. ხიდისთაური ყვითელი საგვიანო	+	+	+	—	—	+	+	+	+	+	+
11. კახური თეთრი	+	+	—	—	—	—	—	—	—	—	—
გარგარი											
1. შალახი	+	+	+	—	+	—	—	—	—	—	—
2. ალიპრიალა	+	+	+	—	+	—	—	—	—	—	—
3. ალჯანბადი	+	+	+	—	+	—	—	—	—	—	—
თხილი											
1. გულშიშველა	+	—	—	—	—	+	+	+	+	+	+
2. ხაჭაპურა	+	—	—	—	—	+	+	+	+	+	+
3. განჯა	+	—	—	—	—	—	—	+	—	+	—
4. შველის ყურა	+	—	—	—	—	—	+	+	+	+	+
5. ფუთქურამი	—	—	—	—	—	—	—	+	+	+	+
ნუში											
1. ნიკიტის 62	+	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. თხელნაჭუჭა	+	+	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ზილიჩა	+	+	—	—	—	—	—	—	—	—	—
4. შირაქული	+	+	—	—	—	—	—	—	—	—	—
5. შაქარა	+	+	—	—	—	—	—	—	—	—	—
ხურმა											
1. ჩინებული (ჯირო)	+	+	—	—	—	—	+	+	—	+	+
2. ხიაკუმე	+	+	—	—	—	—	+	+	—	+	+
3. ხაჩია	+	+	—	—	—	—	+	+	—	—	+
4. ზენჯი მარუ	+	+	—	—	—	—	+	+	—	+	+
5. სიდლისი	+	+	—	—	—	—	+	+	—	+	+
ბროწეული											
1. შახ-ნარი	+	+	—	—	—	—	+	×	—	+	+
2. კრმზი კაბუხი	+	—	—	—	—	—	+	+	—	+	—
3. გიულოშა ვარდისფერი	+	+	—	—	—	—	+	×	—	+	+
4. სალავადსკი	+	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5. კაბაკე ანარი	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	+

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონები										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII, VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
ლეღვი											
1. კახური თეთრი	+	+	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. სმენა	+	+	—	—	—	—	+	—	—	+	—
3. სმირნის № 2	+	—	—	—	—	—	—	—	—	+	—
4. ჩაფლა	+	+	—	—	—	—	+	+	—	+	+
5. აფხაზური იისფერი	+	—	—	—	—	—	+	+	—	+	+

შენიშვნა: ლეღვის კატეგორიზაციისათვის უნდა გათვალისწინებულ იქნას ჯიში ყვითელი გამანაყოფიერებელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 8

საქართველოს სსრ მეხილეობის ზონების მიხედვით დარაიონებული ხეხილის ჯიშების პროცენტული შეფარდება

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონა										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII, VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
ვაშლი											
ზაფხულის ჯიშები											
1. ასტრახანული წითელი	—	5	—	—	5	5	15	15	—	—	—
2. სუისლეპერი	—	—	—	—	—	5	10	10	—	30	—
შემოდგომა-ზამთრის ჯიშები											
3. ზამთრის ოქროს პარმენი	—	—	—	5	10	10	—	5	10	20	20
4. კანადური რენეტი	—	—	—	5	10	20	45	20	20	20	20
5. შამპანური რენეტი	30	30	30	35	25	35	15	—	35	10	35
6. კეხურა	15	5	10	—	—	—	—	—	—	—	—
7. გოლდენ დელიშესი	15	15	15	15	10	15	—	—	10	10	—
8. ქართული სინაპი	10	—	10	10	10	—	—	—	15	—	10
9. ზამთრის ბანანი	20	35	20	20	20	—	—	—	10	—	—
10. ლონდონის პეპინი	10	10	15	10	10	—	—	—	—	—	—
11. პეპინ-პარკერი	—	—	—	—	—	10	15	50	—	10	15
მსხალი											
ზაფხულის ჯიში											
1. ვილიამსი ზაფხულის	30	50	20	30	50	50	50	40	50	50	50
შემოდგომა-ზამთრის ჯიშები											
2. ბერებოსკი	50	40	40	50	50	30	30	40	50	20	30
3. კიფერის თესლნერგი	—	—	—	—	—	20	20	20	—	30	20
4. ბერეარდამპონი	20	10	40	20	—	—	—	—	—	—	—
კომში											
1. ქართული მჟავე	40	40	50	50	—	20	30	30	30	30	30
2. საკომპოტე	10	20	10	10	—	30	20	20	30	30	30
3. მალაჩინა	20	20	20	20	—	20	30	30	20	20	20
4. შილდა	30	20	20	20	—	30	20	20	20	20	20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონა										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII, VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
ქლიავი											
1. ატმისებრი	20	50	20	20	20	20	30	20	20	20	20
2. ალტანის რენგლოდი	30	50	50	50	40	20	30	20	20	10	20
3. იტალიური ულგრული	30	—	30	30	20	40	—	30	10	50	30
4. შავქლიავა	20	—	—	—	20	20	40	30	50	20	20
ტყემალი											
1. გულდედავა	50	35	50	35	50	50	50	35	50	40	50
2. გაზაფხულის მერცხალი	50	30	50	30	50	50	50	35	50	20	20
3. წითელი დროშა	—	35	—	35	—	—	—	30	—	40	30
ბალი											
1. დროგანა ყვითელი	50	30	50	50	40	40	30	30	30	20	40
2. თათრული შავი	30	40	20	25	30	60	70	70	70	50	60
3. ხარისგული	20	30	30	25	30	—	—	—	—	30	—
ალუბალი											
1. პოდბელსკი	40	40	40	40	40	40	40	40	40	60	40
2. ქართული ალუბალი	60	60	60	60	60	60	60	60	60	40	60
ატამი											
1. საკონსერვო საადრეო	10	20	10	—	—		—	—	—	—	—
2. ერისთავის ვარდისფერი	—	20	—	—	—	15	15	20	20	15	15
3. ელბერტა	—	20	—	—	—	20	20	20	20	20	20
4. ხიდისთაური ვარდისფერი	20	20	25	—	—	15	15	15	15	15	15
5. ხიდისთაური თეთრი	—	—	20	—	—	—	—	—	—	—	—
6. ბესტავაშვილი	—	—	10	—	—	—	—	—	—	—	—
7. ბერების ატამი	20	—	10	—	—	—	—	—	—	—	—
8. ხიდისთაური ყვით. საგვ.	20	20	25	—	—	20	20	15	15	15	20
9. კახური თეთრი	30	—	—	—	—	—	—	—	—		—
10. გუდაუთის საკონსერვო	—	—	—	—	—	20	20	20	20	25	20
11. ამსდენი	—	—	—	—	—	10	10	10	10	10	10
გარგარი											
1. შალახი	50	50	50	—	30	—	—	—	—	—	—
2. ალიპრიალა	25	25	25	—	35	-	—	—	—	—	—
3. აღჯანაბადი	25	25	25	—	35	—	—	—	—	—	—

ჯიშების დასახელება	მეხილეობის ზონა										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII, VIIIა VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X, Xა, Xბ აფხაზეთის ასსრ	XI, XIა, XIბ აჭარის ასსრ
თხილი											
1. გულშიშველა	20	—	—	—	—	50	30	30	30	30	40
2. ხაჭაპურა	10	—	—	—	—	30	30	20	20	10	10
3. განჯა	50	—	—	—	—	—	—	10	—	10	—
4. შველის ყურა	20	—	—	—	—	—	20	20	30	30	30
5. ფუთქურამი	—	—	—	—	—	20	20	20	20	20	20
ნუში											
1. ნიკიტის 62	20	20	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. თხელნაჭუჭა	20	20	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ზილიჩის	20	20	—	—	—	—	—	—	—	—	—
4. შირაქული	20	20	—	—	—	—	—	—	—	—	—
5. შაქარა	20	20	—	—	—	—	—	—	—	—	—
ხურმა											
1. ჩინებული (ჯირო)	30	30	—	—	—	—	35	35	—	45	35
2. ხიაკუმე	30	30	—	—	—	—	35	35	—	45	35
3. ხაჩია	30	30	—	—	—	—	20	20	—	—	20
4. ზენჯი მარუ	10	10	—	—	—	—	10	10	—	10	10
ბროწეული											
1. შახნარი	25	50	—	—	—	—	35	35	—	30	35
2. კრმზი კაბუხ	25	—	—	—	—	—	30	30	—	30	—
3. გიულოშა ვარდისფერი	25	50	—	—	—	—	35	35	—	20	35
4. სალავადსკის	25	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5. კაზაკე-ანარ	—	—	—	—	—	—	—	—	—	20	30
ლეღვი											
1. კახური თეთრი	30	40	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. სმენა	20	40	—	—	—	—	30	—	—	20	—
3. სმირნის № 2	30	—	—	—	—	—	—	—	—	10	—
4. ჩაფლა	10	20	—	—	—	—	30	40	—	20	—
5. აფხაზეთის იისფერი	10	—	—	—	—	—	40	60	—	50	100

შენიშვნა: ლეღვის კაპრიფიკაციისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ჯიში ყვითელი გამანაყოფიერებელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 9

ხეხილის რეკომენდებული ჯიშები, რომლებიც დაშვებულია შეზღუდულად გამრავლებისათვის

ვაშლი:	1. ვაგნერის ჯილდო 2. რენეტი სიმირენკო 3. როზმარინი თეთრი 4. ლაგოდეხის რენეტი 5. კასელის რენეტი 6. ბელფლორი ყვითელი 7. ივერია 8. სტარკრიმსონი 9. როიალ რედ დელიშესი 10. სტარკინგი 11. სტეიმან ბლეკი 12. სტეიმარედ 13. სტეიმანი 14. ჯონარედი
მსხალი:	1. ხეჭეჭური 2. პას-კრასანი 3. გულაბი 4. სენჟერმენი 5. რუჟ დელბარა
კომში:	1. გავაზური 2. ზოვრეთული საგვიანო
ატამი:	1. ნობათი 2. გავაზური 3. ხირსული 4. სოვეტსკი 5. ოტეჩესტვენი 6. ტურისტი 7. გეოკჩაი
გარგარი:	1. შირაზული 2. უნგრული
ბალი:	1. ნაპოლეონი ვარდისფერი
ქლიავი:	1. ჭანჭური 2. მწვანე რენგლოდი
ტყემალი:	1. კოლხეთი 2. სამაისო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 10

ყურძნის ჯიშები ზონების მიხედვით

	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V მაღალმთ. აღმ. საქ-ს ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X აფხაზეთის ასსრ	XI აჭარის ასსრ
ტექნიკური ჯიშები											
1. რქაწითელი	+	+	+	—	—	—	—	—	—	—	—
2. მწვანე	+	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ხიხვი	+	—	—	+	—	—	—	—	—	—	—
4. პინო შავი	—	—	+	+	—	+	—	—	—	—	—
5. ალიგოტე	—	+	+	+	—	+	—	—	—	—	—
6. შარდონე	—	—	+	+	—	+	—	—	—	—	—
7. ჩინური	—	+	+	—	—	—	—	—	—	—	—
8. გორული მწვანე	—	—	+	+	—	+	—	—	+	—	—
9. ციცქა	—	—	—	—	—	+	+	—	—	—	—
10. ცოლიკოური	—	—	—	—	—	+	+	+	+	+	—
11. რაჭული თეთრა	—	—	—	—	—	—	—	—	+	—	—
12. საფერავი	+	+	+	—	—	—	—	—	+	—	—
13. კაბერნე	+	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
14. შავკაპიტო	—	—	+	—	—	—	—	—	—	—	—
15. ოცხანური საფერე	—	—	—	—	—	+	—	—	—	—	—
16. ძელშავი	—	—	+	—	—	+	—	—	—	—	—
17. ალექსანდროული	—	—	—	—	—	—	—	+	—	—	—
18. უსახელოური	—	—	—	—	—	—	—	+	—	—	—
19. ორბელური ოჯალეში	—	—	—	—	—	—	—	+	—	—	—
20. ოჯალეში	—	—	—	—	—	—	—	+	—	+	—
21. ჩხავერი	—	—	—	—	—	—	+	+	—	+	—
22. კრახუნა	—	—	—	—	—	+	+	—	—	—	—
23. მუჯურეთული	—	—	—	—	—	—	—	—	+	—	—
24. ალადასტური	—	—	—	—	—	—	+	—	—	—	—
25. კაჭიჭი	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	—
26. ავასირხვა	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	—
სუფრის ჯიშები											
1. კიროვაბადის სუფრის	—	+	+	—	—	+	—	—	—	+	—
2. შასლა	—	+	—	—	—	+	—	—	—	+	—
3. ბოლგარი (კარაბურნუ)	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	—
4. გორულა	—	—	+	—	—	—	—	—	—	—	—
5. ქართული საადრეო	—	+	+	—	—	+	—	—	—	+	—
6. ცხენის ძუძუ	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 11

ვაზის საწარმოო ჯიშების განლაგება მევენახეობის რაიონებში ზონების მიხედვით და მათი შეფარდება 1971 წ.

ვაზის ჯიშები	ზონები										
	I კახეთი	II ქვემო ქართლი	III შიდა ქართლი	IV მესხეთი	V მაღალმთ. აღმ. საქ-ს ზონა	VI ზემო იმერეთი	VII ქვემო იმერეთი	VIII—VIIIა—VIIIბ გურია-სამეგრელო	IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	X — Xა — Xბ აფხაზეთის ასსრ	XI — XIა — XIბ აჭარის ასსრ
ტექნიკური ჯიშები:											
1. რქაწითელი	70	60	5	—	—	—	—	—	—	—	—
2. მწვანე კახური	10	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ხიხვი	1	—	—	5	—	—	—	—	—	—	—
4. საფერავი	17	10	5	—	—	—	—	—	2	—	—
5. კაბერნე	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6. ჩინური	—	8	40	—	—	—	—	—	—	—	—
7. გორული მწვანე	—	—	15	20	—	15	—	—	3	—	—
8. ალიგოტე	—	5	10	40	—	5	—	—	—	—	2
9. პინო შავი	—	—	20	30	—	5	—	—	—	—	—
10. შარდონე	—	—	1	5	—	2	—	—	—	—	—
11. შავკაპიტო	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—
12. ცოლიკოური	—	—	—	—	—	35	70	70	35	90	98
13. ციცქა	—	—	—	—	—	25	20	—	—	—	—
14. კრახუნა	—	—	—	—	—	5	3	—	—	—	—
15. ოცხანური საფერე	—	—	—	—	—	5	—	—	—	—	—
16. ძელშავი	—	—	1	—	—	3	—	—	—	—	—
17. ალადასტური	—	—	—	—	—	—	3	—	—	—	—
18. ჩხავერი	—	—	—	—	—	—	1	10	—	1	—
19. ოჯალეში	—	—	—	—	—	—	—	20	—	1	—
20. ორბელური (მერლო)	—	—	—	—	—	—	—	—	20	—	—
21. რაჭული თეთრა	—	—	—	—	—	—	—	—	15	—	—
22. უსახელოური	—	—	—	—	—	—	—	—	5	—	—
23. ალექსანდროული	—	—	—	—	—	—	—	—	15	—	—
24. მუჯურეთული	—	—	—	—	—	—	—	—	15	—	—
25. კაჭიჭი	—	—	—	—	—	—	—	—	—	1,5	—
26. ავასირხვა	—	—	—	—	—	—	—	—	—	1.5	—
სასუფრე ჯიშები											
1. ქართული საადრეო	—	2	0,5	—	—	—	1	—	—	0,5	—
2. შასლა	—	5	—	—	—	—	1	—	—	1	—
3. კიროვაბადის (განჯური)	—	10	1	—	—	—	1	—	—	1	—
4. გორული	—	—	0,5	—	—	—	—	—	—	—	—
5. კარაბურნე	—	—	—	—	—	—	—	—	—	0,5	—
6. ცხენის ძუძუ (აფხაზური)	—	—	—	—	—	—	—	—	—	0,5	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 12

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების განაწილება ზონების და ქვეზონების მიხედვით

ზონები და ქვეზონები	ჩაი	მანდარინი	ფორთოხალი	ლიმონი	გრეიპ-ფრუტი
I კახეთი	—	—	—	—	—
II ქვემო ქართლი	—	—	—	—	—
III მიდა ქართლი	—	—	—	—	—
IV მესხეთი	—	—	—	—	—
V აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი ზონა	—	—	—	—	—
VI ზემო იმერეთი	+	—	—	—	—
VII ქვემო იმერეთი	+	—	—	—	—
VIII გურია-სამეგრელო					
VIIIა ბორცვიანი და მცირემთიანი წინამდებარე ქვეზონები	+	+	—	—	—
VIII ბ კოლხეთის დაბლობი	+	+	—	—	—
IX რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი	—	—	—	—	—
X აფხაზეთის ასსრ					
Xა მაღალმთიანი ზონა					
Xბ სუბტროპიკული დაბლობი	+	+	+	+	+
XI აჭარის ასსრ					
XIა მეჩაიეობის და მეციტრუსეობის ქვეზონა	+	+	+	+	+
XIბ ზემო აჭარა	—	—	—	—	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 23 სექტემბრის № 505
დადგენილების დანართი № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ჯიშების დარაიონება ზონებისა და ქვეზონების მიხედვით

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		IX	X		XI	
								VIII ა	VIII ბ		X ა	X ბ	XI ა	XI ბ
ჩაი														
1. ქართული 1	—	—	—	—	—	—	—	+	—	—	—	—	+	—
2. ქართული 2	—	—	—	—	—	—	—	+	—	—	—	—	+	—
3. მოსავლიანი	—	—	—	—	—	—	—	+	—	—	—	—	+	—
4. ჩინური მსხვილფოთლიანი	—	—	—	—	—	—	—	+	+	+	—	—	+	—
5. ზამთარგამძლე	—	—	—	—	—	—	+	+	+	—	—	—	+	—
6. ჩრდილოეთის	—	—	—	—	—	—	—	+	+	—	—	—	+	—
7. ზუგდიდის მ/ფ	—	—	—	—	—	—	—	+	+	—	—	—	—	—
8. ადგილობრივი პოპულიაცია	—	—	—	—	—	+	+	—	—	—	—	—	—	—
მანდარინი														
1. უნშიუ ფართეფოთლიანი	—	—	—	—	—	—	—	+	+	—	—	+	+	—
2. ქართული საადრეო	—	—	—	—	—	—	—	+	+	—	—	+	+	—
3. სოჩის 23	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	+	—
ფორთოხალი														
1. ვაშინგტონ ნაველი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	+	—
2. გლუვკანიანი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ჰამლინი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	+	—
4. პერვენეცი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	+	—
5. კარალიოკი — 100	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	+	—	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

82 რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და მუსიკალური სასწავლებლების მუშაობის დონისა და პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან რესპუბლიკის 120 მუსიკალური სკოლისა და 13 მუსიკალური სასწავლებლის მუშაობის დონისა და პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მუშაობის კარგი პირობები და სათანადო მატერიალური ბაზა 120 სკოლიდან მხოლოდ 50 სკოლას აქვს. თბილისის 17 მუსიკალური სკოლიდან 11 მოთავსებულია სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების შენობებში.

საკლასო ოთახების სიმცირის გამო მარტო თბილისში 1750 პედაგოგიდან 900-მდე პედაგოგი მოსწავლეებს სპეციალობის მიხედვით მეცადინეობას უტარებს საკუთარ ბინაზე, რაც მეთოდურად ყოვლად დაუშვებელია.

რესპუბლიკის მუსიკალური სკოლები და სასწავლებლები მუსიკალური ინსტრუმენტების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. არსებული ინსტრუმენტების მეტი ნაწილი გამოსულია მწყობრიდან (განსაკუთრებით თბილისში დამზადებული პიანინოები) და შეუძლებელი ხდება მათი შეკეთება. მაგალითად, თბილისის 17 მუსიკალურ სკოლაში არსებული 297 პიანინოდან 160-ზე მეტი უხარისხოა და თითქმის გამოუსადეგარი.

ნაკლები ყურადღება ექცევა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების, გაძოცდილების გაზიარების, სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს.

გადასინჯვა-გადახალისებას მოითხოვს მუსიკალურ სკოლებში მისაღები გამოცდების არსებული წესი, რადგან იგი სრულად ვერ ავლენს ბავშვების ჭეშმარიტ მუსიკალურ მონაცემებსა და შესაძლებლობებს.

მიუხედავად მრავალი ცდისა, მუსიკალურ სკოლებში საორკესტრო განყოფილებები სრულად არ კომპლექტდება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არადამაკმაყოფილებლად ტარდება საგუნდო მეცადინეობები;

იმის გამო, რომ უმრავლეს მუსიკალურ სკოლასა და სასწავლებელს არა აქვს საკუთარი საკონცერტო დარბაზი, ირღვევა მათი სამუშაო გეგმები და სასწავლო გრაფიკი.

თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, სამტრედიისა და ფოთის ზოგიერთ მუსიკალურ სკოლასთან უკვე რამდენიმე წელია სამეურნეო ანგარიშზე მუშაობენ საერთო მუსიკალური განათლების საღამოს განყოფილებები, მაგრამ წარმოების მოუწყვეტლივ ამ განყოფილებებში სწავლობს ახალგაზრდობის მხოლოდ 10-15 პროცენტი.

ნაკლები ყურადღება ექცევა მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის გამოცემის საქმეს და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და მუსიკალური სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

— უზრუნველყოს რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მკვეთრად აამაღლოს პედაგოგთა კადრების მომზადების დონე, იზრუნოს მათი პროფესიული დაოსტატებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კონტინგენტთა შერჩევას, კვალიფიციური პედაგოგებით მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების დაკომპლექტებას;

— ქ. ლენინგრადის მუსიკალური სკოლების გამოცდილების მაგალითის მიხედვით რესპუბლიკის მუსიკალურ სკოლებში 1972—1973 სასწავლო წლისათვის შემოიღოს ორტურიანი მისაღები გამოცდები, რისთვისაც შეიმუშაოს და დაამტკიცოს სათანადო ინსტრუქცია;

— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად რესპუბლიკის მუსიკალურ სკოლებში 1971—1972 სასწავლო წლიდან გახსნას ერთწლიანი მოსამზადებელი ჯგუფები სამეურნეო ანგარიშზე;

— ძირეულად გააუმჯობესოს მუსიკალურ სკოლებთან სამეურნეო ანგარიშზე არსებული საერთო მუსიკალური განათლების საღამოს განყოფილებების მუშაობა და უზრუნველყოს წარმოების მოუწყვეტლივ მუშა-ახალგაზრდობის მოზიდვა;

— მეტი ყურადღება მიაქციოს მუსიკალურ სკოლებში სასულე საკრავებისა და საორკესტრო განყოფილებების მუშაობის დონის ამაღლებას და მიიღოს ქმედითი ზომები აღნიშნულ განყოფილებებში ახალგაზრდობის მისაზიდად;

— უზრუნველყოს რესპუბლიკის მუსიკალურ სკოლებში საგუნდო მეცადინეობის დონის მკვეთრი გაუმჯობესება;

— შეამოწმოს რესპუბლიკის მუსიკალური სასწავლებლების იმ პედაგოგთა პროფესიული მომზადების დონე და მეცადინეობის ხარისხი, რომლებსაც არა აქვთ მიღებული სპეციალური უმაღლესი განათლება, და გადაწყვიტოს საკითხი მათი შემდგომი მუშაობის შესაძლებლობის შესახებ;

— იზრუნოს მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების ახალგაზრდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მოაწყოს მათთვის მუდმივმოქმედი კურსები და მეთოდური სემინარები.

— სავალდებულოდ გახადოს კონსერვატორიისა და მუსიკალური სასწავლებლების გამოცდილი პედაგოგების მიერ რესპუბლიკის მუსიკალური სკოლების ახალგაზრდა პედაგოგებისათვის საჩვენებელი გაკვეთილების სისტემატური ჩატარება;

— განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის; დააწესოს მკაცრი კონტროლი და არ დაუშვას მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში მეცადინეობათა გრაფიკის დარღვევის შემთხვევები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნება დართოს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორატს მოსწავლეთა საჩვენებელი და საქალაქო კონცერტების საშემსრულებლო და საორგანიზაციო დონის ამაღლების მიზნით 1971—1972 სასწავლო წლიდან უფასოდ დაუთმოს დიდი დარბაზი თბილისის მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებს წელიწადში თითო კონცერტის გასამართავად;

— განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი 1972—1973 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის მუსიკალურ სკოლებში ქართული ეროვნული მუსიკალური საკრავების დაკვრის სწავლების შემოღების შესახებ;

— საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან და საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად შეისწავლოს საკითხი ქ. თბილისში და რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებში კლავიშებიანი, ხემიან-სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების, აგრეთვე ქართული ეროვნული საკრავების შემკეთებელი სახელოსნოების ქსელის შექმნის შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს კონკრეტული წინადადება ერთი თვის ვადაში.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქ. თბილისში საქალაქო მუსიკალური ბიბლიოთეკის დაარსება და დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ორი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება ამ მიზნით სათანადო ფართობის გამოყოფის შესახებ.

კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს საქალაქო მუსიკალური ბიბლიოთეკა საშტატო პერსონალით, წიგნადი ფონდითა და აუცილებელი ინვენტარით.

3. რესპუბლიკის მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სწავლის პირობების გაუმჯობესების მიზნით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებს და მიმდინარე ხუთწლედში უზრუნველყონ ისინი შესაფერისი შენობებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წელს მისცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს თბილისის მუსიკალური სასწავლებლებისა და მუსიკალური სკოლების კლავიშებიანი ინსტრუმენტებისა და მუსიკის მოსასმენი კაბინეტებისათვის საჭირო აპარატურის შესაძენად 40 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს კლავიშებიანი, ხემიან-სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების, აგრეთვე მუსიკის მოსასმენი კაბინეტებისათვის საჭირო აპარატურის დამატებითი გამოყოფა კულტურის სამინისტროსა და თბილისის აღმასკომის განაცხადების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და საქართველოს მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სა-

ბავშვო საგუნდო სიმღერების, საორკესტრო საკრავებისა და სპეციალურად მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლებისათვის სხვადასხვა სახის მაღალმხატვრულ მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნას.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) 1973 წლიდან ყოველწლიურად გაითვალისწინოს საგამომცემლო გეგმაში რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლებისათვის ძირითადი სახელმძღვანელოების, მეთოდური და სხვა დამხმარე ლიტერატურის საჭირო რაოდენობით გამოცემა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განაცხადებით;

ბ) უზრუნველყოს რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და მუსიკალური სასწავლებლებისათვის აუცილებელი ცნობარების, პროგრამების, მეთოდური სახელმძღვანელოებისა და მითითებების, აგრეთვე სხვა სამსახურებრივ-საინსტრუქციო ხასიათის მასალების ოპერატიული ბეჭდვა (როტაპრინტი).

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს სატელევიზიო და რადიოგადაცემებში გააშუქოს რესპუბლიკის მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების საქმიანობა, პერიოდულად გადასცეს მოსწავლეთა კონცერტები და სანიმუშო ღია გაკვეთილები გამოცდილი პედაგოგებისა და სპეციალისტების მონაწილეობით, გაუწიოს პოპულარიზაცია მუსიკის სწავლების ახალ მეთოდებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 7 ოქტომბერი, № 515

83 გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო წლებში გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გეგმები რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად სრულდება. მაგალითად, 1966, 1967 და 1970 წლებში გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გეგმები ერთხელაც არ შესრულებულა.

გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გეგმების შეუსრულებლობა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ მთელი რიგი რაიონების საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და „საქკონსერვხილბოსტანის“ სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები არ აფასებენ ამ ნაყოფისა და კენკრის დამზადების დიდ მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების მიმდინარეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ზოგიერთმა რაიონულმა ორგანიზაციამ ამ პროდუქციის დამზადება დააკისრა მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს, აგრეთვე აუკრძალა კოლმეურნეებს გარეული ნაყოფისა და კენკრის შეგროვება ინდივიდუალური წესით, და თუმცა გარეული ნაყოფისა და კენკრის არსებული რესურსები იძლევიან იმის საშუალებას, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს მათი დამზადების მოცულობა ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სახალხო მოხმარების პროდუქტების წარმოებისათვის, სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ სისტემის და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის „საქტყეთესლის“ რესპუბლიკური კანტორის დამამზადებელი ორგანიზაციები არ ეწევიან აღნიშნული პროდუქციის დამზადებისა და გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას და დანიშნულებისამებრ არ იყენებენ მრეწველობისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მათი მიყიდვისაგან შემოსული თანხის სამპროცენტიანი ანარიცხების სახსრებს.

ამის გარდა, ამ ორგანიზაციებს არ მიუციათ მუშაკებისათვის პრემიები ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადებისა და გაგზავნის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“ და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, აგრეთვე ცეკავშირის გამგეობას, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და დამზადების სამინისტროებს განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების ძირეულად გაუმჯობესება, პიონერთა, სოფლის ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისაგან თავისუფალ დროს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა გამოყენება ამ პროდუქტების შესაგროვებლად იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დამზადების დაწესებული გეგმების შესრულება.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ნება დართო ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან გარეული ნაყოფის, კენკრის, კაკლისა და თხილის, სოკოსა და თაფლის დამზადებას, აწარმოონ სახსრების გადარიცხვა გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადებისა და გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის იმ თანხის 3 პროცენტის ოდენობით, რაც მიღებული იქნება მრეწველობისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ამ პროდუქციის მიყიდვისაგან.

3. დაევალოთ სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და ცეკავშირის გამგეობას თავი მოუყარონ გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადება-გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის განკუთვნილ სამპროცენტიან ანარიცხთა სახსრებს და შემდეგში ეს სახსრები გამოიყენონ დანიშნულებისამებრ, აგრეთვე უზრუნველყონ, რომ მუშაკებს მიეცეთ პრემიები ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში გარეული ნაყოფის, კენკრის, კაკლისა და თხილის დამზადებისა და გაგზავნის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და არ შეზღუდონ პრემიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობა, დასარიცხი ფონდის ფარგლებში, გარეული ნაყოფისა და კენკრის შესასყიდი ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით.

4. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეისწავლოს საკითხი, რომ დაწესდეს შემდეგში გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების გეგმები სახეობათა მიხედვით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს საჭირო წინადადებანი.

ამ მიზნით დაევალოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგინოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საორიენტაციო მონაცემები გარეული ნაყოფის სამრეწველო რესურსების შესახებ რაიონებისა და სახეობათა მიხედვით, ხოლო ტყის მოწყობის სამუშაოთა შესრულების დროს განსაზღვროს ეს რესურსები.

5. დაწესდეს, რომ გარეული ნაყოფისა და კენკრის შესყიდვა სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ სისტემის და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ უნდა წარმოებდეს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებულ ერთიან ზღვრულ შესასყიდ ფასებში.

6. იმ მიზნით, რომ გადიდდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესება, ფართოდ იქნან მოზიდული კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები გარეული ნაყოფის და კენკრის შესაგროვებლად საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისაგან თავისუფალ დროს და გაფართოვდეს მეურნეობათა პირდაპირი კავშირურთიერთობა გადამმუშავებელ საწარმოებთან, დაწესდეს, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები გადაუხდიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დანამატს ჩაბარებული გარეული პროდუქციის ღირებულების 14,5 პროცენტის ოდენობით (გარდა იმისა, რომ გადაიხდიან მიტანის ღირებულებას ავტოტვირთზიდვის ერთიანი ტარიფებით) იმ პირობით, რომ ეს პროდუქცია მიიტანონ და ჩააბარონ მეურნეობებმა უშუალოდ დამამზადებელი ორგანიზაციების გადამმუშავებელ საწარმოებში.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას დაუბრკოლებლივ გასცეს ფული მოსახლეობისათვის ანგარიშის გასასწორებლად, კერძოდ, ისეთი სახეობის გარეული ნაყოფისა და კენკრის ზეგეგმითი შესყიდვისათვის, რაც სახელმწიფოს სჭირდება.

8. დამზადების სამინისტრომ სისტემატურად განიხილოს გარეული ნაყოფისა და კენკრის დამზადების მიმდინარეობა და მიიღოს საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წლის 14 ოქტომბერი, № 519

84 მესტიის რაიონის სოფელ ჩაჟაშის არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ

ითვალისწინებს, რა რომ მესტიის რაიონის უშგულის სასოფლო საბჭოს ცენტრი — სოფელი ჩაჟაში წარმოადგენს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა უნიკალურ და მხატვრულად მთლიან კომპლექსს, მისი შემდგომი ნგრევის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოცხადდეს სოფელი ჩაჟაში არქიტექტურულ ნაკრძალად, ამასთან აიკრძალოს მის ტერიტორიაზე ყოველგვარი სახის მშენებლობა, აგრეთვე სოფლის ფარგლებში შემონახული ყველა ობიექტის გადაკეთება, მათი დანიშნულების მიუხედავად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს და საპროექტო ინსტიტუტს „საქქალაქმშენსახპროექტს“ 1972 წელს უშგულის სასოფლო საბჭოს სოფლების დაგეგმარების პროექტის შედგენისას დააზუსტოს ნაკრძალის საზღვრები და შეიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სოფელ ჩაჟაშის მცხოვრებთა თანდათანობით ნებაყოფლობით გადასახლებას ამ სასოფლო საბჭოს სხვა დასახლებულ პუნქტებში.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველომ უშგულის სასოფლო საბჭოს სოფლების დაგეგმარების პროექტის დამტკიცების შემდეგ დადგას არსებული წესის შესაბამისად გასამიჯნი ნიშნები ნაკრძალის საზღვრებზე.

4. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და სახმშენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 21 ოქტომბერი, № 527

ეროვნული ბიბლიოთეკა

85 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნების მოწესრიგების შესახებ

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების (კატეგორიების) მიკუთვნება, რომლებიც იძლევიან უფრო მაღალი ფასების (ტარიფების) შეფარდების უფლებას, და რომ გამოირიცხოს ამ საწარმოების გადიდებულ თანრიგებზე არასწორად მიკუთვნებისა და ამასთან დაკავშირებით ფასების (ტარიფების) დაუსაბუთებლად გადიდების შესაძლებლობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნების წესები, დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს:

ა) 1971 წლის დამლევამდე შეიმუშაოს ამ დადგენილებით დამტკიცებული წესების საფუძველზე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით — დაამტკიცოს დარგობრივი დებულებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის სათანადო თანრიგების მიკუთვნების წესისა და ძირითადი პირობების შესახებ;

ბ) მოაწყოს 1972 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ საწარმოების ერთდროული ხელახალი ატესტაცია, რომლებსაც წინათ მიკუთვნებული ჰქონდათ თანრიგები (კატეგორიები) და შემდეგში პერიოდულად (სამ წელიწადში ერთხელ მაინც) მოაწყოს ასეთი ხელახალი ატესტაცია იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც მოხდა ოსტატების შემადგენლობასა და კვალიფიკაციის დონეში, აგრეთვე იმ მაჩვენებლებში, რომლებიც ახასიათებენ შეკვეთების ხარისხიანად, დროულად შესრულებას და მოსახლეობის მომსახურების კულტურას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტმა დადგენილი წესით დაამტკიცოს იმ სამუშაოთა ფასების პრეისკურანტები, რომლებსაც ასრულებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცემული დარგის კატეგორიამიკუთვნებული საწარმოები.

4. დაწესდეს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი და მოქმედი საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნებას, აგრეთვე მათ გადაყვანას უფრო მაღალ (ან უფრო დაბალ) თანრიგებში სათანადო ფასებისა და ტარიფების შეფარდების უფლებით, აწარმოებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის უმაღლესი თანრიგების მიკუთვნება და მათი გადაყვანა ასეთ თანრიგებში უნდა ხდებოდეს იმ ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშით, რომ არ იქნას დაშვებული დაბალი თანრიგის იმ ატელიეებისა და სახელოსნოების ლიკვიდაცია (მკვეთრად შემცირება) ქალაქებში, რომელთა უფრო დაბალ ფასებში მომსახურებით სარგებლობენ მოსახლეობის განსაზღვრული ფენები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 21 ოქტომბერი, № 528

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 21 ოქტომბრის № 528
დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

თანრიგების მიკუთვნებისა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის

1. ეს წესები შემუშავებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 2 ივლისის № 351 დადგენილების 11 პუნქტის შესაბამისად და სავალდებულოა საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებული საწარმოებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეწევიან ტანსაცმლის (სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმის, თავსამკაულის, ქალის ტუალეტის საგნების), სამოდელო ფეხსაცმლის ინდივიდუალურ შეკერვას, აგრეთვე საპარიკმახეროებისა და ფოტოგრაფიებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 ოქტომბრის № 528 დადგენილების შესაბამისად, საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი და მოქმედი საწარმოებისათვის თანრიგების მიკუთვნებას, აგრეთვე მათ გადაყვანას უფრო მაღალ (ან უფრო დაბალ) თანრიგებში შესაბამისი ფასებისა და ტარიფების შეფარდების უფლებით, აწარმოებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო მისცემს საწარმოს დაწესებული ნიმუშის მოწმობას მისთვის სათანადო თანრიგის მიკუთვნების შესახებ, რომელშიაც აღინიშნება საწარმოს სრული დასახელება, ადგილსამყოფელი და უწყებრივი დაქვემდებარება, ნომერი და თარიღი გადაწყვეტილებისა მისთვის თანრიგის (კატეგორიის) მიკუთვნების შესახებ და სხვა რეკვიზიტები. ეს მოწმობები გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო მიკუთვნებული თანრიგი (კატეგორია) სავალდებულო წესით აღინიშნება აბრაზე.

3. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს ატესტაციის (ან ხელახალი ატესტაციის) მოსამზადებელ სამუშაოს ასრულებს სპეციალური რესპუბლიკური საატესტაციო კომისია, შექმნილი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სათანადო აღმასკომის და ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების პროფკავშირის რაიონული (საქალაქო) კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების გადაყვანა უფრო მაღალ თანრიგებში წარმოებს მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ დაკომპლექტდება ისინი მაღალკვალიფიციური ოსტატებით, გაუმჯობესდება შეკვეთების შესრულების ხარისხი, ამაღლდება მომსახურების კულტურა და განხორციელდება ისეთი საჭირო დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც

უზრუნველყოფენ შემკვეთისათვის სამუშაოთა (მომსახურების) მაღალ ხარისხს, შეკვეთების დროულად შესრულებას და საწარმოების მიერ შეკვეთების მიღებისა და გაცემის წესების სხვა მოთხოვნების მტკიცედ დაცვას. კერძოდ, მაღალი კატეგორიის საწარმოებში (პირველი, უმაღლესი თანრიგების და „ლუქსის" ატელიეში ან სალონებში) არ უნდა იყოს შემთხვევები, რომ შემკვეთებმა დასაბუთებულად განაცხადონ უარი შეკვეთების მიღებაზე მათი დაბალი ხარისხის შესრულების გამო, არ იყოს საჩივრები შეკვეთების შესრულების დაწესებული ვადების დარღვევის შესახებ და სხვა დარღვევები.

5. ტანსაცმლისა და განსაკუთრებით კოხტა ფეხსაცმლის მოდელების ნიმუშებს (ეტალონებს), რომელსაც ამზადებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაბამისი საწარმოები მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამხატვრო საბჭო, განსაკუთრებით კოხტა ფეხსაცმლის ფასებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

6. ამ წესების საფუძველზე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დარგობრივ დებულებებს საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცემული დარგის საწარმოებისათვის შესაბამისი თანრიგების მიკუთვნების წესისა და ძირითადი პირობების შესახებ.

დარგობრივი დებულებანი განსაზღვრავენ ძირითად პირობებს (სავალდებულო მოთხოვნებს), რომელთა შესრულების დროს მოცემული დარგის საწარმოებს შეიძლება მიეკუთვნოს გარკვეული თანრიგები (კატეგორიები), პირველ რიგში შემდეგ კონკრეტულ მოთხოვნებს:

ა) ოსტატთა კვალიფიკაციის მხრივ, რომლებითაც დაკომპლექტებულია საწარმო, — ოსტატთა კლასი ან სატარიფო თანრიგი, რაც შეესაბამება საწარმოთა მოცემულ კატეგორიას და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა სირთულეს, აგრეთვე მოცემული კლასის ოსტატთა მინიმალური ხვედრითი წონა;

ბ) მაღალი კატეგორიის საწარმოთა ნაკეთობების (მომსახურების) ხარისხის მხრივ — მათი შესაბამისობა ნაკეთობათა რესპუბლიკურ სტანდარტებთან (ტექნიკურ პირობებთან) და დადგენილი წესით დამტკიცებულ მოდელებთან (ეტალონებთან); გადიდებული ტექნიკური მოთხოვნები მასალების გამოჭრის მეთოდებისა, ნაკეთობათა დამუშავებისა და გამოყვანისადმი; ხარისხის გარანტიის ვადები და მისი უზრუნველყოფის ფორმა; ქსოვილების, ფურნიტურისა და სხვა მასალების ფართო ასორტიმენტი; დამატებითი მომსახურების გაწევა შემკვეთებისათვის;

გ) მოსახლეობის მომსახურების კულტურის მხრივ — შესაბამისი სადგომით, მოწყობილობით, ავეჯით, პერსონალის ფორმის ტანსაცმლით უზრუნველყოფა, გარეგანი გაფორმების ხარისხი, საწარმოთა მუშაობის რეჟიმი და ა. შ.

7. ამ წესების შემოღების შემდეგ ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინათ მოქმედი წესები და დებულებანი ამ საკითხზე.

86 საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის საწარმოთა მიერ ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით პირუტყვის მიღების დროებითი წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის საწარმოების მიერ პირუტყვის მიღების დროებითი წესები და წესი ანგარიშსწორებისა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო მეურნეობებთან ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით მიღებული პირუტყვისათვის, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს დროებითი კოეფიციენტები ხორცის წონის გადაანგარიშებისა პირუტყვის ცოცხალ წონაში № 2 დანართის თანახმად.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ხორცის მრეწველობის საწარმოებს იმ მხრივ, რომ წარმატებით დაინერგოს ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით პირუტყვის მიღების ახალი პროგრესული მეთოდი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ზოოვეტერინარულ სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტთან ერთად შეისწავლოს რესპუბლიკის ზონებში პირუტყვის ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით მიღების პრაქტიკა და არა უგვიანეს 1974 წლის დამდეგისა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, რათა დადგენილ იქნას პირუტყვის მიღების მუდმივი წესები და გადაანგარიშების კოეფიციენტები.

5. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს დროებითი წესები პირუტყვის მიღებისა ხორცის მრეწველობის საწარმოების მიერ და წესი ანგარიშსწორებისა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო მეურნეობებთან ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით მიღებული პირუტყვისათვის და კოეფიციენტები ხორცის გადაანგარიშებისა ცოცხალ წონაში გორის, თელავის, ახალციხის და სამტრედიის რაიონებისათვის, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 იანვრის № 31 დადგენილებით (დანართები №№ 2 და 3).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 28 ოქტომბერი, № 532

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 28 ოქტომბრის № 532
დადგენილების დანართი № 1

დროებითი წესები

საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის საწარმოების მიერ პირუტყვის მიღებისა და წესი ანგარიშსწორებისა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო მეურნეობებთან ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით მიღებული პირუტყვისათვის

პირუტყვის ჩაბარების ორგანიზაცია და მიღების წესი

1. ეს დროებითი წესები სახელმძღვანელოა ხორცკომბინატებისათვის, რომლებიც ახორციელებენ პირუტყვის მიღებას ხორცის წონისა და ხარისხის მიხედვით, აგრეთვე კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ეს ხორცკომბინატები პირუტყვის ჩასაბარებლად.

2. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიერ პირუტყვის ჩაბარება და ხორცკომბინატების მიერ მისი მიღება წარმოებს თანახმად ამ დროებითი წესებისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის 1967 წლის 14 ივნისის № 66 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა პირუტყვის, ფრინველისა და ბოცვრების სახელმწიფო შესყიდვის (ჩაბარებისა და მიღების) მოწყობის წესის შესახებ, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს შემდგომი დამატებებისა და განმარტებებისა, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებისა და დებულებისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტის 1966 წლის 6 იანვრის № 1 ბრძანებით და დაზუსტებულია მისივე 1967 წლის 12 აგვისტოს № 93 ბრძანებით.

პირუტყვდამამზადებელ და პირუტყვგამსუქებელ ორგანიზაციათა მეურნეობების მიერ პირუტყვის მიწოდება ხორციელდება შესაბამისად დებულებისა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ, და პირუტყვის, ფრინველისა და ბოცვრების მიწოდების განსაკუთრებული პირობებისა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1963 წლის 20 მარტის № 04-63 დადგენილებით.

პირუტყვის ჩაბარებისა და მიღების დროს დაცულ უნდა იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს მიერ 1969 წლის 30 ივნისს დამტკიცებული წესები საკლავი პირუტყვის ვეტერინარულ-სანიტარიული შემოწმებისა და ხორცისა და ხორცპროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის შესახებ.

3. ხორცის მრეწველობის საწარმოთა მიერ პირუტყვის შესყიდვა კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობე-

ბისაგან წარმოებს იმ წლიურ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლებშიაც გათვალისწინებულია მიწოდების რაოდენობა და ვადები (თვეების კვალობაზე) საკლავი პირუტყვის სახეობათა მიხედვით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიერ პირუტყვის ჩაბარება ხორცკომბინატებისათვის წარმოებს დაზუსტებული თვიური გრაფიკების მტკიცე შესაბამისობით თვის იმ დღეების მიხედვით, რომლებშიაც გათვალისწინებულია თითოეული სახეობის პირუტყვის რაოდენობა და მისი საორიენტაციო ცოცხალი წონა.

პირუტყვის მიწოდების დაზუსტებულ თვიურ გრაფიკებს შეადგენენ და ხელს მოაწერენ ხორცკომბინატი და ჩამბარებელი მეურნეობა სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოსთან შეთანხმებით ყოველი თვის დადგომამდე 10 დღით ადრე.

4. ხორცკომბინატს უფლება აქვს უარი თქვას გრაფიკის გარეშე მიყვანილი პირუტყვის მიღებაზე, თუ ეს წინასწარ არ არის შეთანხმებული ხორცკომბინატის ხელმძღვანელობასთან.

5. ყოველ ჩამბარებელ მეურნეობას მიეკუთვნება ნომერი (ლიტერი), რომლითაც ჩამბარებელი მეურნეობა დანომრავს პირუტყვს ხორცკომბინატში მისი გაგზავნის წინ.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იბირკება (ინომრება) ყურის ბირკებით (ნიშნებით) ორივე ყურზე, ღორები ინომრება ტატუირებით ან ბირკებით; წვრილფეხა რქიანი პირუტყვის მიწოდება და მიღება ხდება პარტიობით.

შეიძლება გამოყენებულ იქნას პირუტყვისა და ხორცის აღრიცხვის სხვა მეთოდები და საშუალებანი, რომლებიც იძლევიან იმის გარანტიას, რომ თვალსაჩინო გახდეს, თუ რომელ მიმწოდებელ მეურნეობას ეკუთვნის პირუტყვი და ხორცი.

პირუტყვის ჩამბარებელ მეურნეობათა უზრუნველყოფა ბირკებით (ნიშნებით), საბირკავი მაშებით, სატატუირებო ჩაქუჩებით და სხვა საჭირო მასალებითა და ინსტრუმენტით ეკისრება ხორცკომბინატებს, ამასთან ჩამბარებელი მეურნეობები გადაიხდიან მათ ღირებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ პირუტყვი მიყვანილია ხორცკომბინატებში დაუბირკავად ან დაუტატიურებლად, როგორც გამონაკლისი, მის დაბირკებასა და ტატუირებას განახორციელებს თვით ხორცკომბინატი, რასაც აუცილებლად უნდა დაესწროს ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენელი ან ამ უკანასკნელთან შეთანხმებით გამოიყენება სხვა მეთოდი, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ თვალსაჩინო გახდეს პირუტყვის კუთვნილება განსაზღვრული მიმწოდებლისადმი.

6. პირუტყვი, რომელიც მიიყვანეს ხორცკომბინატში გრაფიკის მიხედვით, უნდა მიიღოს ამ უკანასკნელმა რაოდენობის მიხედვით იმავე დღეს, თუ იგი მიყვანილია სამუშაო დღის დამთავრებამდე არა უგვიანეს ერთი საათისა.

პირუტყვს, რომელიც გაგზავნილია გრაფიკის მიხედვით, მაგრამ ადგილზე მივიდა დაგვიანებით მიმწოდებელი მეურნეობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (გზაში დაგვიანება რკინიგზით გადაყვანის დროს იმ ვადებზე მეტად, რაც გათვალისწინებულია რკინიგზების წესდებით, ავტოტრანსპორტის დაზიანება გზაში, ავარია და სხვ.) მიიღებს ხორცკომბინატი იმავე დღეს.

იმ პირუტყვს, რომელიც მიყვანილია გრაფიკის მიხედვით, მაგრამ დაგვიანებით საპატიო მიზეზების უქონლად, ხორცკომბინატმა უნდა დაუთმოს სადგომი და წყალსალევი. დაგვიანებით ან გრაფიკის გარეშე მიყვანილი პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების ვადას დააწესებს ხორცკომბინატი ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენელთან ერთად.

7. ჩასაბარებელი პირუტყვის ყოველ პარტიაზე კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა ან სხვა სახელმწიფო მეურნეობა წარადგენს დაწესებული ფორმის მიხედვით შედგენილ თანმხლებ საბუთებს — ვეტერინარულ მოწმობას და სანახირო უწყისს ორ ცალად.

8. ხორცკომბინატის მიმღები, ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენლის თანდასწრებით, აღნიშნავს სანახირო უწყისში პირუტყვის მოსვლისა და საბოლოო რაოდენობრივი მიღების დროს, დაითვლის ფაქტიურად მოყვანილ პირუტყვს და შეადარებს მას სანახირო უწყისში აღნიშნულ სულადობის რაოდენობასთან, შეამოწმებს აქვს თუ არა პირუტყვს ბირკები (ნიშნები), დაახარისხებს მსხვილფეხა რქიან პირუტყვს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ხოლო ღორებს — გადამუშავების წესის მიხედვით (გაუტყავებლად, კრუპონირებით და სხვ.) და გამოავლენს ნაწოლების მქონე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობას.

თუ პირუტყვდამამზადებელი და პირუტყვგამსუქებელი ორგანიზაციებისაგან მიღებულ პირუტყვს აღმოაჩნდა ტყავის სიცოცხლინდელი მანკი, გამოყენებული იქნება სანქციები, რაც გათვალისწინებულია პირუტყვის, ფრინველისა და ბოცვრების მიწოდების განსაკუთრებული პირობების 24 პუნქტით.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მძიმე წონის მოზარდეულის, ორ წლამდე ასაკის 300 კილოგრამი და მეტი ცოცხალი წონის გასუქებული მოზვრების, აგრეთვე ერთ წლამდე ასაკის ცხვრის მოზარდეულის მიწოდება და მიღება წარმოებს ცალკეული პარტიობით, რომელთა ჩაბარებაზე ჩამბარებელმა მეურნეობებმა უნდა გააფორმონ ცალკეული თანმხლები საბუთები (ვეტერინარული მოწმობები და სანახირო უწყისები).

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მძიმე წონის მოზარდეულს, ორ წლამდე ასაკის, 300 და მეტი კილოგრამი ცოცხალი წონის გასუქებულ მოზვრებს აწონიან ხორცკომბინატები თითოეული სული მძიმე წონის მოზარდეულისა და მოზვრის ცოცხალი წონის გამოსარკვევად, ხოლო ერთ წლამდე ასაკის ცხვრის მოზარდეულს — პარტიობით, პირუტყვის რაოდენობრივი ჩაბარებისა და მიღების პერიოდში დაწესებული დანამატების მიცემის მიზნით, ფაქტიური და არა საანგარიშსწორებო ცოცხალი წონის საფუძველზე.

შესასყიდი ფასის დანამატი გაიცემა გადიდებული წონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულზე: 35-პროცენტიანი — როდესაც ცოცხალი წონა არის 300 კილოგრამიდან 349 კილოგრამამდე ჩათვლით, ხოლო 50-პროცენტიანი — როდესაც ცოცხალი წონა არის 350 კილოგრამი და მეტი.

4 თვიდან ერთ წლამდე ასაკის ცხვრის მოზარდეულზე (კანქვეშა ცხიმის დაგროვების მიუხედავად), რომლის ცოცხალი წონა შეადგენს სულ მცირე 23

კილოგრამს, გაიცემა საშუალო ნასუქობის წვრილფეხა რქიანი პირუტყვის შესასყიდი ფასი.

ორ წლამდე ასაკის 300 და მეტი კილოგრამი ცოცხალი წონის დაუკოდავი მოზვრების ხორცი იმ პირობით, თუ მისი ხარისხი შეესაბამება მოქმედი სტანდარტის ყველა დანარჩენ მოთხოვნებს, ანაზღაურდება იმ ფასად, რაც დადგენილია უმაღლესი ნასუქობის ხორცზე, როდესაც ნაკლავის მინიმალური წონა 150 კილოგრამს უდრის.

ხორცკომბინატი მოვალეა რიგგარეშე მიიღოს ავადმყოფი და სუსტი პირუტყვი და დაუყოვნებლივ დაკლას იგი.

9. პირუტყვის დათვლის შემდეგ ხორცკომბინატის მიმღები შეიტანს სანახირო უწყისის ორივე ეგზემპლარში პირუტყვის ფაქტიურად მიღებულ რაოდენობას, ტყავის მანკს და ჩამბარებელთან ერთად ხელს მოაწერს მას. სანახირო უწყისის ერთი ცალი რჩება ხორცკომბინატში, მეორე ცალი მიეცემა ჩამბარებელ მეურნეობას.

მხარეთა მიერ სანახირო უწყისის ხელმოწერის მომენტიდან პირუტყვის სულადობის დაცვა-შენახვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ხორცკომბინატს.

10. პირუტყვის ყოველ მიღებულ პარტიაზე მიმღები შეავსებს პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების აქტს, სადაც აღნიშნავს პირუტყვის სახეობას, პირუტყვის რაოდენობას სახეობათა მიხედვით, მიმწოდებელი მეურნეობის დასახელებასა და ნომერს, სანახირო უწყისის ნომერს, ჩამბარებლის (გამყოლის) გვარს, პირუტყვის მოყვანისა და მიღების დამთავრების დროს (თარიღსა და საათს) სულადობის მიხედვით, ნაწოლების მქონე პირუტყვის რაოდენობას, აგრეთვე იმ დროს, რომელიც ნავარაუდევია დასაკლავად მიყვანისათვის (დღის 1 საათამდე, დღის 2 საათის შემდეგ), რაც ხელწერილქვეშ ეცნობება ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენელს.

პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების აქტში ხორცკომბინატის ცხოველთა ბაზის საქონელმცოდნე ან საკლავი საამქროს რწმუნებული აღნიშნავს სანიტარიულ სასაკლაოზე მიყვანილი ავადმყოფი და სუსტი პირუტყვის რაოდენობას, აგრეთვე დაკვლისწინა გაჩერების დროს დაკლული და დახოცილი პირუტყვის რაოდენობას (თუ ასეთი შემთხვევები იყო). ამის შემდეგ იმავე აქტში აღინიშნება დასაკლავად მოყვანილი ჯანსაღი პირუტყვის რაოდენობა. ამ რაოდენობის ჯანსაღი პირუტყვის მიღება დასაკლავად დადასტურდება საკლავი (ხორცცხიმის) საამქროს ოსტატის ხელმოწერით.

პირუტყვდამამზადებელი და პირუტყვგამსუქებელი მეურნეობებისაგან მისაღებ პირუტყვზე შედგება პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების აქტი, რომელშიაც დამატებით აღინიშნება ტყავის მანკის მქონე პირუტყვის რაოდენობა, პირუტყვის, ფრინველისა და ბოცვრების მიწოდების განსაკუთრებული პირობებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების მიზნით.

ჯანსაღი პირუტყვის დასაკლავად მიყვანის დროს პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების აქტი გადაეცემა საკლავ (ხორცცხიმის) საამქროს. გადამუშავების დამთავრების შემდეგ ამ აქტში შეიტანება ცნობები ტანხორცის რაოდენობისა და წონის შესახებ, რაც განაწილდება ნასუქობის კატეგორიების მიხედვით, დასაკლავი პირუტყვის სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, აგრეთვე

ამ ტანხორცის რაოდენობა და წონა, რომელიც იგზავნება საუტილიზაციოდ და შეჩერებულია ლაბორატორიული გამოკვლევისათვის.

პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების აქტს ხელს მოაწერს საკლავი (ხორცცხიმის) საამქროს უფროსი (ოსტატი), ვეტერინარი ექიმი, ბუღალტერი და ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენელი.

პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების აქტი შედგება ორ ცალად, ოთმელთაგან ერთი გადაეცემა ბუღალტერიის საანგარიშო ნაწილს, ხოლო მეოთე — ჩამბარებელ მეურხეობას.

11. ხორცკომბინატის მიერ მიღებული პირუტყვი დახარისხდება ჯგუფებად მეურნეობათა კუთვნილების თანახმად; ჯგუფები მოთავსდება ცალკეულ სადგომებში ან ბაკებში დაკვლისწინა გაჩერებისათვის, რაზედაც გაკეთდება ჩანაწერი სულადობის განლაგებისა და მოძრაობის აღრიცხვის დავთარში.

პირუტყვის პირველადი გადამუშავება

12. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის მიწოდება დასაკლავად ხდება ხორცკომბინატის მიერ მათი რაოდენობრივი მიღების მომენტიდან დაკვლისწინა დაყოვნების 24 საათის, ხოლო ღორებისა — 12 საათის შემდეგ.

პირუტყვის გადამუშავება უნდა ხდებოდეს იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ხორცკომბინატის საწარმოო სიმძლავრე და უზრუნველყონ პირუტყვის დაკვლა, როგორც წესი, დაკვლისწინა დაყოვნების დამთავრებიდან 12 საათის განმავლობაში, ხოლო პირუტყვის მასობრივი შემოსვლის პერიოდში (აგვისტო-ნოემბრის პირველი ნახევარი) — 24 საათის განმავლობაში, პარტიობით, შემოსვლის რიგის მიხედვით.

13. ხორცკომბინატი უზრუნველყოფს პირუტყვის პირველად გადამუშავებას მოქმედი ტექნოლოგიური ინსტრუქციის შესაბამისად, პირუტყვის დაკვლისა და ნაკლავის დამუშავების ტექნოლოგიური ციკლის დამთავრების შემდეგ, სუკის ამოჭრის ჩათვლით, ღორის ნაყელარები, ცხვრის მაჯის ძვლები, ცხვრის დუმა და ცხიმიანი კუდები უნდა აიწონოს ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენლის თანდასწრებით (ნედლი ქონის, სუბპროდუქტების, ტყავისა და დაკვლის სხვა პროდუქტების ღირებულება შეტანილია ხორცის ფასში).

ძროხის ცხიმნედლეულს მიეკუთვნება კუჭის, ლივერის, თირკმელებისა და ნაწლავების ცხიმი (ჯორჯლის, სწორი ნაწლავისა და ბუშტის), ტყავის ქონი, ბადე-ქონი, მენჯის, საზარდულის, მკერდის ცხიმი და ტანხორცის ცხიმის ანაჭრები.

ღორის ცხიმნედლეულს მიეკუთვნება კუჭის, ლივერის, თირკმელების, ნაწლავების ცხიმი (ჯორჯლის, კოლინჯის, სწორი ნაწლავისა და ბუშტის) და ტყავისა და ტანხორცის ცხიმის ანაჭრები.

ცხვრის ცხიმნედლეულს მიეკუთვნება ბადექონი, კუჭის, ლივერისა და ნაწლავების ცხიმი (ჯორჯლის, ბრმა ნაწლავისა და სწორი ნაწლავის) და ტყავის ცხიმი.

14. ღორის გატყავებით გადამუშავების დროს, როცა საჭიროა ნაკლავის მუცლის ნაწილის გათეთრება, წარმოებს ტყავის გაცლა ცხიმის გაუყოლებლად 4-5 სანტიმეტრზე ხორცძვლის ნაწილის თეთრი ხაზიდან ორივე მხარეზე.

15. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის პარტიების გადამუშავებისას, რომლებიც შედგენილია სხვადასხვა მეურნეობებიდან მოყვანილი ცხოველებისაგან (მათი დაბირკების დროს), იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ იქნას იმის ნიშნები, თუ რომელ მიმწოდებელ მეურნეობას ეკუთვნის ნაკლავი, საკლავ საამქროში კონვეიერზე ან კიდულ გზაზე წინა კიდურების უშუალო გათეთრების შემდეგ, თავისაგან ყურების მოცილების დროს, ყურს შეაჭრიან ნომერს (ბირკას) და მიამაგრებენ ტანხორცს. ერთი მეურნეობის კუთვნილი პირუტყვის გადამუშავების დროს კი პირველ და უკანასკნელ ტანხორცებს ნომრავენ ხის ბირკებით, რომლებზედაც ნაჩვენები იქნება პირუტყვის რაოდენობა და მიმწოდებელი მეურნეობისათვის მიკუთვნებული ნომერი (ლიტერი).

16. თუ ხორცკომბინატმა ერთმანეთში აურია პირუტყვის პარტიები ან ტანხორცები და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ ჩამბარებელ მეურნეობას ეკუთვნის ისინი, ასეთ შემთხვევებში ანგარიშსწორება ჩამბარებელი მეურნეობის ან მათ მიერ რწმუნებული პირის მოთხოვნით შეიძლება მოხდეს სათანადო წესით გაფორმებულ სანახირო უწყისში აღნიშნული ცოცხალი წონისა და ნასუქობის მიხედვით.

17. ხორცის ხარისხის მიხედვით პირუტყვის ნასუქობას განსაზღვრავს ხორცკომბინატის საწარმოო-ვეტერინარული კონტროლის განყოფილება, ხოლო თუ ასეთი განყოფილება არ არის — ვეტერინარი ექიმი და ინჟინერ-ტექნოლოგი, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენლის ან მისი რწმუნებული პირის თანდასწრებით.

ტანხორცების აწონას აუცილებლად ესწრება ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენელი.

ხორცის აწონის უწყისში (აწონის აქტი) ჩაიწერება მეურნეობის დასახელება და ნომერი (ლიტერი), ყოველი ტანხორცის წონა, მისი ასაკობრივი ჯგუფი და ნასუქობა შესაბამისად შემდეგი სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებისა: 5110-55 დასაკლავი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, 5111-55 დასაკლავი ცხვრისა და თხისათვის და 7724-61 ღორის ხორცისათვის. ამის გარდა, ამ უწყისებში ჩაიწერება კატეგორიები: ძროხის ხორცისა — 779-55 სახელმწიფო სტანდარტის და ცხვრის ხორცისა — 1935-55 სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით.

ბეჭდის გარდა, რაც ხორცის კატეგორიას აღნიშნავს, წინა კიდურზე იდაყვის სახსრის ქვემოთ დაეკვრის შტამპი ასოთი „უ“, „ს“ და „დ“, რაც ნიშნავს პირუტყვის ნასუქობას (უმაღლესი, საშუალო, საშუალოზე დაბალი).

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის ტანხორცს აგრეთვე დაეკვრის შტამპი ასოთი „მ“.

18. ორ წლამდე ასაკის 300 და მეტი კილოგრამი ცოცხალი წონის გასუქებული მოზვრები მიეკუთვნება უმაღლესი ნაკვებობის კატეგორიას, კანქვეშა ცხიმის დაგროვების მიუხედავად, იმ პირობით თუ ტანხორცების ხარისხი შეესაბამება დასაკლავი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 5110-55 სახელმწიფო სტანდარტის დანარჩენ მოთხოვნებს.

19. ხორცის აწონის უწყისი (აწონის აქტი) შედგება ცალკე დაკლული პირუტყვის თითოეულ პარტიაზე ოთხ ცალად, რომელთაგან პირველი გადაეცემა ბუ-

ღალტერიის საანგარიშო ნაწილს, მეორე — მაცივარს ხორცის გასატარებლად შემოსავალში, მესამე — პირუტყვის ჩამბარებელ მეურნეობას და მეოთხე — საკლავ საამქროს ანგარიშისათვის

აწონის უწყისს ხელს მოაწერენ საკლავი საამქროს რწმუნებული პირი (საამქროს უფროსი, ოსტატი, მწონავი), მაცივრისა (უფროსი, ოსტატი, მწონავი) და ჩამბარებელი მეურნეობის წარმომადგენელი.

საბუღალტრო აღრიცხვა და ფულადი ანგარიშსწორება

20. ხორცკომბინატის ბუღალტერია ხორცის აწონის უწყისის (აწონის აქტის), პირუტყვის მიღებისა და გადამუშავების თანდართული აქტებისა და სანახირო უწყისების საფუძველზე გამოწერს დადგენილი ფორმის მიღების ქვითარს პირუტყვის თითოეულ პარტიაზე, ხოლო პირუტყვდამამზადებელი და პირუტყვგამსუქებელი ორგანიზაციების მიერ ჩაბარებული პირუტყვის პარტიაზე გამოსწერს ანგარიშსწორების აქტს. ამ საანგარიშსწორებო საბუთებში აღინიშნება პირუტყვის გადამუშავების თარიღი, პირუტყვის სახეობა, რაოდენობა, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის — ასაკობრივი ჯგუფიც, ხორცის გადაანგარიშების კოეფიციენტებით დადგენილი ცოცხალი წონა, ნასუქობა და ტანხორცის წონა, ხორცის ერთეულის ფასი, ხოლო გაანგარიშების აქტში დამატებით აღინიშნება — ფულის დაკავება ნაწოლის მქონე პირუტყვისათვის 3 მანეთის ოდენობით სულზე და დაკავება ტყავის მანკისათვის და გასანაღდებელი თანხის ოდენობა.

21. პირუტყვის მიყვანის ხარჯები ჩამბარებელ მეურნეობებს აუნაზღაურდებათ იმ ცოცხალი წონის საფუძველზე, რაც აღნიშნულია მიღების ქვითარში და ანგარიშსწორების აქტში.

22. იმ შემთხვევაში, თუ პირუტყვი დაიხოცა დაკვლისწინა შენახვის პერიოდში ხორცკომბინატის მიზეზით, ჩამბარებელ მეურნეობას პირუტყვის ღირებულება აუნაზღაურდება სანახირო უწყისში აღნიშნული ფაქტიური ცოცხალი წონის მიხედვით, ხოლო დაკვლის შემთხვევაში — ნაკლავის წონის მიხედვით და სათანადო ნასუქობის პირუტყვის ფასებში.

23. ტანხორცების დამუშავებისას ხორცის ზენორმატიული ანაჭრების მიღებისათვის ხორცკომბინატები თვის დამლევს ანგარიშს გაუსწორებენ პირუტყვის ჩამბარებლებს შესყიდული ხორცის რაოდენობის პროპორციულად საშუალო ნასუქობის ხორცის ფასებში.

ხორცის ზენორმატიული ანაჭერის წონის გადაანგარიშება ცოცხალ წონაში, რათა ჩაეთვალოს იგი ჩამბარებელ მეურნეობას პირუტყვის შესყიდვის გეგმის შესრულებაში, წარმოებს ხორცის საშუალო ნასუქობის კოეფიციენტების მიხედვით.

24. იმ შემთხვევაში, თუ პირუტყვის გადამუშავება დაგვიანდა დაწესებული ვადების გადამეტებით ხორცკომბინატზე დამოუკიდებელი მიზეზებით (ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის მოთხოვნით, ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების შეწყვეტის გამო და ა. შ.), ხორცკომბინატი დაგვიანების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფს მიღებული პირუტყვის კვებასა და დარწყულებას საკუთარი საკვებით, დაწესებული ნორმების შესაბამი-

სად. ასეთი პირუტყვისათვის ანგარიშსწორება მისი დაკვლის შემდეგ წარმოებს ხორცის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

25. მიღებული პირუტყვისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს ფულად ანგარიშს გაუსწორებენ ხორცკომბინატები მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღების ქვითრების საფუძველზე, ხოლო პირუტყვდამამზადებელ და პირუტყვგამსუქებელ ორგანიზაციებს — ანგარიშსწორების აქტის საფუძველზე, რომელიც ერთადერთ საანგარიშსწორებო საბუთს წარმოადგენს.

26. დუმის ცხიმი ან კუდის ცხიმი ანაზღაურდება სათანადო ნასუქობის წვრილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის ფასად.

27. სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშში შემოსულ ავადმყოფ პირუტყვს, ინფექციური დაავადების მხრივ საეჭვო პირუტყვს, როდესაც დაკვლის შემდეგ მიღებული ხორცი, საკლავი პირუტყვის ვეტერინარულ-სანიტარიული შემოწმებისა და ხორცის და ხორცპროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის მოქმედი წესების თანახმად, შეიძლება გამოყენებულ იქნას საჭმელად შეუზღუდავად ან სათანადო თერმული დამუშავების შემდეგ,—მიიღებენ ხორცკომბინატები და მის საფასურს გადაუხდიან ჩამბარებელ მეურნეობებს საერთო წესით, ესე იგი ხორცის მოქმედ შესასყიდ ფასებში ტანხორცის ნასუქობის მიხედვით (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს 1970 წლის 4 მაისის № 10-96/738 ერთობლივი წერილი).

28. დაკვლის შემდეგ მიღებული ხორცი, რომელსაც ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა მიიჩნევს საჭმელად უვარგისად და უტილში გამოსაყენებლად, მიმწოდებელ მეურნეობებს აუნაზღაურდებათ სხვა კონფისკატების მოქმედ ფასად.

29. იმ შემთხვევაში, თუ ხორცკომბინატს ხორცკომბინატისა და ჩამბარებელი მეურნეობის მიერ ხელმოწერილი თვიური გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში არ მიაწოდეს სათანადო მოცულობის პირუტყვი, ჩამბარებელი მეურნეობა გადაუხდის ხორცკომბინატს საუპიროს ნაკლმიწოდებული პირუტყვის ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ ხორცკომბინატმა უარი განაცხადა იმ პირუტყვის მიღებაზე, რომელიც ჩამბარებელმა მეურნეობამ მიიყვანა პირუტყვის ჩამბარებელი მეურნეობისა და ხორცკომბინატის მიერ ხელმოწერილი თვიური გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, ხორცკომბინატი გადაუხდის ჩამბარებელ მეურნეობას საუპიროს ნაკლმიყვანილი პირუტყვის ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით.

30. უთანხმოებას, რომელიც შეიძლება წამოიჭრას პირუტყვის დაკვლისა და ხორცის ნასუქობის (ხარისხის) დადგენის პროცესში, გადაწყვეტს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის რაიონული სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენელი, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 28 ოქტომბრის № 532
დადგენილების დანართი № 2

დროებითი კოეფიციენტები

ხორცის წონის გადაანგარიშებისა პირუტყვის ცოცხალ წონაში

პირუტყვის სახეობა	ნაკვებობა	გადაანგარიშების კოეფიციენტი
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი დ. კამეჩი		
მოზრდილი	უმაღლესი	2.106
	საშუალო	2.253
	საშუალოზე დაბალი	2.422
	მეტლე პირუტყვი	2.599
მოზარდეული	უმაღლესი	2.106
	საშუალო	2.243
	საშუალოზე დაბალი	2.374
	მეტლე პირუტყვი	2.599
ხარი და კურო	I კატეგორიის	2.0
	II კატეგორიის	2.082
ხბოები	I და II კატეგორიის	1.912
	მეტლე	2.382
ღორები	მსუქანი უტყავო	1.6
	სახორცე	1.78
	მეტლე	1.99
ბურვაკები	სახორცე უტყავო	1.97
	მეტლე	2.19
ღორები	მსუქანი ტყავიანად	1.45
	სახორცე ტყავიანად	1.56
	მეტლე	1.72
ბურვაკები	სახორცე ტყავიანად	1.72
	მეტლე	1.82
ღორები	საბეკონე ტყავიანად	1.55
	მსუქანი კრუპონირებული	1.52
	სახორცე კრუპონირებული	1.67
	მეტლე კრუპონირებული	1.99
ბურვაკები	სახორცე კრუპონირებული	1.72
	მეტლე კრუპონირებული	1.82

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვის სახეობა	ნაკვეთობა	გადაანგარიშებული ფასი
ფოჩები	I კატეგორიის	1.43
	II კატეგორიის	1.89
	მეტლე	2.08
წვრილფეხა რქიანი პირუტყვი	უმაღლესი	2.392
	საშუალო	2.506
	საშუალოზე დაბალი	2.651
	მეტლე პირუტყვი	2.776

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ—76137

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1971 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IV-72 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16.
საბეჭდი თაბახი 5.4. სააღრიცხვო თაბახი 4.90

წლიური ხელმოწერის ფასი 5 მან.

შეკვეთა 57 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.